საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი, 18 დეკემბერი, 1919 წ.

# ერთობა

ფასი 2 მანეთი

გაზეთი ღირს 1 თვით 50 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 2 მანეთი. განცხადების ფასი მაწყობ სტრიქონზე პეტიტის სტრიქონი 4 მანეთი. მეოთხე გვერდზე 3 მან. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომისა 80 მანეთი. ნისია განცხადებები არ დაიბეჭდება

რედაქცია და კანტორის ადრესი: რუსთაველის ხ. № 24.

ტელეფონი 16—62.

№ 288

ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა

№ 288

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯავის რაიონში მოქმედი ტყვიის მფრქვეველთა რაზმი თფილისის გვარდიის ცხენოსანთა დივიზიონისა მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს, ნაცნობებს და საზოგადოებას ცხენოსან გვარდიელის მებრძოლ

**ელიზბარ ნიკოლოზის ძე მაჩაბელის**

ტრაგიკულად დაკარგვას. (ნ.—2—2)

---

მოსეს გიორგის ძე და ნადეჟდა მნაცაკანოვისა ხითაროვები შვილებით: გიორგი, რაფაელი. ელიჩკა, კოლია, სონია, და თამროთი აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა 14 ამ თვეს საყვარელი და დაუვიწყარი პირველის ცოლის ძმა, მეორესი ძმა, და დანარჩენთა ბიძა, 21 წლის ყმაწვილი

**ვართან მნაცაკანის ძე ვართანოვი**

პანაშვიდი ყოველ დღე საათის ხუთზე. გამოსვენება სახლიდან, ციციანოვის ქუჩა № 8, ხუთშაბათს ათ საათზე 18 ამ თვეს ეჩმიაძინის ეკლესიაში (ავლაბარში), დაკრძალვა იმავე დღეს ხოჯევანქის სასაფლაოზე. (3284—2—2)

---

გრიგოლ მნაცაკანის ძე და შუშანიკ პეტრეს ასული ვართანოვები შვილით შურათი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა 14 ამ თვეს საყვარელი და დაუვიწყარი პირველის ძმა, მეორის მაზლი და მესამის ბიძა

**ვართანა მნაცაკანის ძე ვართანოვი**

პანაშვიდი ყოველ დღე საათის ხუთზე, გამოსვენება სახლიდან, ციციანოვის ქუჩა № 8, ხუთშაბათ ათ საათზედ, 18 ამ თვეს ეჩმიაძინის ეკლესიაში (ავლაბარში) დაკრძალვა ამავე დღეს ხოჯევანქის სასაფლაოზე. (3284—2—2)

---

მოსამსახურენი ხითაროვის მატყლის კანტორისა აუწყებენ ყველა ნაცნობთ და მეგობართ, რომ 14 ამ თვეს გარდაიცვალა ერთი საუკეთესო თანამშრომელი და დაუვიწყარი ამხანაგი

**ვართან მნაცაკანის ძე ვართანოვი**

პანაშვიდი ყოველ დღე საათის ხუთზე. გამოსვენება სახლიდან, ციციანოვის ქუჩა № 8, ხუთშაბათს ათ საათზე, 18 ამ თვეს, ეჩმიაძინის ეკლესიაში (ავლაბარში) დაკრძალვა ამავე დღეს ხოჯევანქის სასაფლაოზე. (3284—2—2)

---

ნინა მნაცაკანოვის ასული და გიორგი ეფრემის ძე აფთაზავა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ მეგობართ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა 14 დეკემბერს, საყვარელი და დაუვიწყარი პირველის ძმა და მეორის ცოლის ძმა 21 წლის ყმაწვილი

**ვართან მნაცაკანის ძე ვართანოვი**

პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 5 ს. გამოსვენება სახლიდან, (ციციანოვის ქ. № 8, ხუთშაბათს 18 დეკემბერს დილის 10 ს. ეჩმიაძინის ეკლესიაში, (ავლაბარში) დაკრძალვა ამავე დღეს ხოჯევანქის სასაფლაოზე. (3284—2—2)

---

ნიკოლოზ ძიძელის ძე და სათინიკა მნაცაკანის ასული შვილებით ანდრეევები აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ, რომ ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა 14 ამ თვეს საყვარელი და დაუვიწყარი პირველის ცოლის ძმა და დანარჩენთა ბიძა

**ვართან მნაცაკანის ძე ვართანოვი**

პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 5 ს. გამოსვენება სახლიდან, ციციანოვის ქ. № 8, ხუთშაბათს, 18 დეკემბერს, დილის 10 ს. ეჩმიაძინის ეკლესიაში, (ავლაბარში) დაკრძალვა ამავე დღეს ხოჯევანქის სასაფლაოზე. (3284—2—2)

---

ღრმად დამწუხრებულნი: მშობლები ვანო ონისიმეს ძე და ნატო კონსტანტინეს ასული, ძმები: ვალიკო და ვიტია ბურჭულაძეები აცნობებენ ნათესავთ და ნაცნობთ, ხან მოკლე ავადმყოფობის შემდეგ 16 დეკ. უდროვოდ გარდაცვალებას უძვირფასესს

**თამარა (ტატუ) ბურჭულაძისას**

სად. ნატანებიდან ქუთაისში წასვენებული იქნება ხუთშაბათს, 18 ქრისტეშობისთვეს, დილის 8 ნახ. ს. და იმავე დღის 3 ს. დაკრძალული იქნება საფიჩხიის სასაფლაოზე. (3305—1—1)

---

დამწუხრებული მამა ჩაგუ ქავთარაძე, დედა მატრონა ბეჟან ლოლუას ასული, ძმა ერმალო, და ელისაბედი ქავთარაძეები, სიძე მამია ანჯაფარიძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ

**აკაკი ქავთარაძის**

ტრაგიკულად გარდაცვალებას. დაკრძალვა დღეს 18 დეკემბერს, ქ. ზუგდიდში (ნ 1—1)

---

ანა და შაქრო ნაცვლიშვილები აუწყებენ ნათესავთ და ამხანაგებს, რომ პარასკევს, დეკემბრის 19 სა, ნაშუადღევის 2 საათზე, დანიშნულია ომში გმირულად დაღუპულ

**სანდრო მაისურაძის**

სამოქალაქო პანაშვიდი წლის თავის აღსანიშნავად ძმათა სასაფლაოზე. (3304—2—1)

---

ელენე ერასტის ასული ქვრივი ს. მაისურაძისა შვილებით, დაი სონა ნაზიჭვრიშვილისა, სიდედრი დესპინე ცერცვაძისა გულის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ მეგობრებს, რომ პარასკევს, დეკემბრის 10, ნაშუადღევის 2 საათზე, გადახდილ იქნება წლის თავის სამოქალაქო პანაშვიდი ძმათა სასაფლაოზე გვარდიის მთავარ შტაბის თავმჯდომარის ამხანაგის

**გმირის სანდრო მაისურაძის**

ხსოვნის აღსანიშნავად. (3304—2—1)

---

თფილისის პროფესიონალურ კავშირების საბჭოსთან არსებული სანდრო მაისურაძის სახელობის წიგნთ-საცავ-სამკითხველოს გამგეობა აუწყებს ნაცნობთ და ამხანაგებს, რომ პარასკევს, დეკემბრის 19, ნაშუადღევის 2 საათზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი ძმათა სასაფლაოზე

**სანდრო მაისურაძისა**

ომში გმირულად დაღუპვის წლის თავის მოსაგონებლად (3304 2 1)

---

ზუბალაშვილის სახალხო თეატრი

| ქართულ ხალხიკო საზოგადოების | **ქ ა რ თ უ ლ ი** | საქართ. ცენტრ. კოოპერატ. კავშირის |
|---|---|---|

**ს ა ო პ ე რ ო  ს ტ უ დ ი ა**

პარასკევს, 19 დეკემბერს მართავს ოპერას

**თქმულება შოთა რუსთაველზე**

მუსიკა დ. არაყიშვილისა. (ნ. 2—2)

---

**ოზურგეთის სამაზრო ერობის გამგეობა**

იწვევს საერობო სამსახურში ექიმებს და შკოლის ფერშლებს, პირობები ექიმებისათვის: ჯამაგირი 3000—5000 მანეთამდი, ბინა 2—3 ოთახით და გათბობით;—ფერშლებისთვის: ჯამაგირი 2500 მან. ოთახი და გათბობა. მსურველებმა უნდა გამოგზავნონ თხოვნასთან ერთად დოკუმენტების დედანი ან შემოწმებული ასლი და მოკლე „კურიკულუმ ვიტე“. (ნ. 3—2)

---

რკინის გზელთა ცენტრალური კულტურულ-განმანათლებელი კომისია აცხადებს, რომ ყოველ-თვიური სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალი № 1

**„ცისარტყელა“**

გამოვა 20 დეკემბერს. ყოველგვარ პირობების გასაგებათ მსურველებმა წინდაწინვე უნდა მიმართონ ამავე კომისიას.—ელისაბედის ქუჩა № 200. (უფ. 3—2)

---

სამაზრო ერობისათვის პროვინციაში საჭიროა მთავარი

**ბუღალტერი, თანაშემწეები და მოანგარიშენი.**

პირობების გაგება შეიძლება ერობათა კავშირის კომიტეტის ბინაზე, დილის 9—3 საათ. პეტრედიდის ქ. № 12. (ნ. 2—1)

---

**თფილისის სამაზრო ერობის გამგეობის ტეხნიკური განყოფილება**

აცხადებს რომ მოეწყო სამგზავრო მიმოსვლა თფილის ალბულახ და მანგლის შუა

ლინეი. ა გადის:

ალბულახისკენ: ოთხშაბათობით და შაბათობით.

მანგლისისკენ: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ბრუნდება თფილისისკენ:

ალბულახიდან: ორშაბათობით და ხუთშაბათობით.

მანგლისიდან: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ფ ა ს ე ბ ი:

თფილისიდან ალბულახში და უკან—200 მან.

თფილისიდან მანგლისში და უკან—200 მან.

ლინეიკები გადიან ორივე მხარისაკენ ერობის ბინიდან და ბილეთები იყიდება აქვე, რუსთაველის ქ. № 6. (ნ.—3—1)

---

**სახელმწიფო თეატრი**

| კვირას 21 დეკემბერს |
|---|

**ნინო ჩხეიძის**

**ი უ ბ ი ლ ე**

ოცდა ხუთი წლის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავად.

დილით:

I განყოფილება

**საიუბილეო ზეიმი**

II განყოფილება

„აბესალომ და ეთერი“

მე-2 რე მოქმედება ზ. ფალიაშვილის ოპერიდან. მონაწილეობას იღებს საოპერო დასი.

საღამოთი:

**საიუბილეო წარმოდგენა**

I განყოფილება

„უბედური ნაბიჭვი“

დრამა 3 მოქ. კარეევისა.

II განყოფილება

**„ღ ა ლ ა ტ ი“**

მე-5 მოქ. ა. სუმბათაშვილის დრამიდან.

დასაწყისი დილის ზეიმისა სრულ 12 ს., საღამოს წარმოდგენისა სრულ 8 ს. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში. (ნ. 4—1)

---

## კიდევ ოპოზიციაზე

ოპოზიცია მმართველი პარტიის წინააღმდეგ არ ცხრება. რესპუბლიკის მთავრობას ესხმიან მარჯვნიდან და მარცხნიდან. უწუნებენ პოლიტიკას, გმობენ მის ეკონომიკას. არ მოსწონთ ჩვენი პოლიტიკა მემარცხენეებს; ავქსენტიევ კერენსკის პარტიის ქართველ მაჩანჩალებს და მათ ამყოლ სამსონ დადიანებისა და სოსიკო მერათაშვილების ჯგუფსაც ჩვენი პოლიტიკა ბურჟუაზიულათ მიაჩნიათ, და ასე წარმოიდგინეთ, რომ სოციალისტობას და რადიკალობას გვიწუნებენ. ნათქვამია, სიბერემდე სიქაჩლეს უნდა მოელოდეო—საქართველოს სოციალ-დემოკრატიას სამსონ დადიანები ასწავლიან სოციალისტობას. აქ რაღაც ისტორიული კურიოზია, ახირებაა, მაგრამ ეს ყოველ შემთხვევაში ფაქტია; ხოლო აქ ანგარიშს გასაწევი არაფერია. განა თვითონ ესერებსა და ფედერალისტებს სწამთ თავიანთი ოპოზიციური პოზიცია, რომ ის სხვამ იწამოს და ანგარიში გაუწიოს. მარცხნიდან დღევანდელი მართველი პარტიის წინააღმდეგ პრინციპიალური ოპოზიცია შეიძლება იყოს მხოლოდ ბოლშევიკური და როდესაც ჩვენი ესერები და ფედერალისტები საპარლამენტო და საგაზეთო ტრიბუნიდან თავის ოპოზიციას გადაიტანებენ ხალხში, იქ ისინი ფატალურათ ებმებიან ბოლშევიკების ქსელში. იქ ისინი კომუნისტთა ამყოლათ გამოდიან. თუ მასას ბოლშევიკური ხელმძღვანელები უნდა, რადა მეორე ხარისხის კომუნისტებს გაჰყვება, ესერ-ფედერალისტები ბოლშევიკებს ბოლშევიკობაში ვერ აჯობებენ. პროვინციაში, მაგალითად სენაკის და ზუგდიდის მაზრაში ესერებსა და ბოლშევიკებს შორის არავითარი განსხვავება არ არისო, გვატყობინებენ ჩვენი კორესპოდენტები. და ეს ბუნებრივი და აუცილებელია, ვინც ბოლშევიკურ ა—ნს იტყვის, მან კომუნისტური ბ—ანიც უნდა სთქვას.

უფრო ბუნებრივი, თან სასტიკი და დაუნდობელია მარჯვენა ოპოზიცია, რომელსაც აწარმოებს საქართველოს ყოფილი თავადაზნაურობა და ჩვენი ნორჩი ბურჟუაზია, ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის სახით. ეს პოლიტიკური პარტია ორბუნებოვანი არსებაა. მასში შედუღებულია აზნაური და ვაჭარი და ჯერ-ჯერობით პირველი მეორეს სჭარბობს. მხოლოდ ამით აიხსნება მათი ოპოზიციის ყოვლად უმსგავსო კილო და მანერები. ამ წესითა და გზით მხოლოდ მკვდარი, ან განწირული საზოგადოებრივი ჯგუფი ან კლასი თუ ილაპარაკებს, და არა ცოცხალი და მომავლის იმედით აღვსილი.

ჩვენ კრიტიკის არ გვეშინია, პირიქით კრიტიკას ვითხოვთ. არ გვეშინია იმიტომ, რომ „წვიმის მხოლოდ ხელოვნურ ყვავილებს ეშინიათ“, ხოლო ჩვენი დღევანდელი მთავრობა ბუნებრივათ და ორგანიულათ არის აღმოცენებული ხალხურ ნიადაგზე. კრიტიკის წვიმა ასეთ მცენარეს მხოლოდ აზარებს და ძალას მატებს. არც იმის თქმა გვინდა თითქოს ჩვენ უცოდველნი ვიყოთ. მუშათა კლასის პარტია, პარტია მომავლის სწორეთ იმით განსხვავდება თავის მოწინააღმდეგე ჯგუფებიდან, რომ ის თავის თავის კრიტიკაში იზრდება და იწვრთნება. არც იმაზედ გვტკივა და გვწყდება გული, რომ ჩვენ მარჯვნიდან არ გვიწონებენ. პირიქით, საშიში მდგომარეობა იქნებოდა ჩვენთვის, რომ ჩვენი პოლიტიკური ხაზი გვაზავა ვეშაპელების პარტიას მოსწონებოდა. მემარცხენენი „ბურჟუობას“ გვიკიჟინებენ, მემარჯვენენი „ბოლშევიკობას“ გვწამებენ—ეს ბუნებრივია, ასეც უნდა იყოს. ეს მხოლოდ იმაში გვარწმუნებს, რომ საერთოთ სწორ გზაზე ვდგავართ. ჩვენ, რასაკვირველია, შორსა ვართ იმ აზრიდან, თითქოს ოპოზიცია უბედურებაა, პირიქით პოლიტიკური უბედურება იქნებოდა, რომ ოპოზიცია გამქრალიყო ამ ჟამათ ჩვენი სახელმწიფოს ასპარეზიდან.

და თუ ამ კითხვაზე ვაჩერებთ მკითხველის ყურადღებას, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მარჯვენა ოპოზიციის თავაშვებული ბრძოლა ყოველგვარ საზღვარს გადასცილდა, პრესისა და პოლიტიკური ბრძოლის ზნეობა შებღალა და სასტიკათ შეაგინა. ეს კი დიდი უბედურებაა.

თექვსმეტი ნოემბრის „ივერიაში“ მოთავსებულია მოწინავე—„მტაცებლობის პოლიტიკა“. ჩვენ ამ ჟამად არ შეუდგებით ამ წერილში აღძრულ ეკონომიურ პოლიტიკის საკითხს, თუ გნებავთ ამ წერილში არცკია დასმული საკითხი; ის თავიდან ბოლომდე ერთი პირახეულ ლანძღვა გინებაა, დემაგოგიაა, ყოვლად უმსგავსო. მთელი უბედურება, რომელიც დღეს საქართველოშია, თურმე სავსებით ჩვენი მთავრობის ბრალია, მათი მტაცებლური პოლიტიკის შედეგია. რომ დღეს ჟორდანიას მენშევიკური მთავრობა გადადგეს და გვაზავა ვეშაპელი ჩაუდგეს სათავეში სახელმწიფოს, თურმე ჩვენს ბედს ძაღლი არ დაყეფდა. მკითხველს ეგონება, რომ ეს უბედურება მარტო საქართველოშია, ან და მხოლოდ იქ, სადაც მენშევიკები მართავენ ქვეყანას. მიმოიხედეთ ირგვლივ: ბათომი ინგლისელების ხელშია, აზერბეიჯანს ბურჟუაზიული პარტია განაგებს, სომხეთს დაშნაკცაკანი მართავს. ევროპის პატარა სახელმწიფოებს ყველგან ბურჟუაზიული პარტიები ხელმძღვანელობენ. შიდა რუსეთს კომუნისტები ფლობენ, სამხრეთ რუსეთს სწორეთ რუსი ვეშაპელ გვაზავები განაგებენ და აბა სთქვან ივერიელებმა სინიდისის ქვეშ რომელ აქ ჩამოთვლილ ქვეყნებში არის უმჯობესი ან თუ გინდ ასეთი მდგომარეობა, როგორც საქართველოში?!

სწორეთ „ივერიის“ უმზგავსო მოწინავეს თან მოსდევს მაჩაბლის ქალთან ინტერვიუ „მოხალისეთა ბანაკიდან“. წაიკითხოს რედაქციამ და მოწინავეს ავტორმა ეს ფრიად საყურადღებო ინტერვიუ და მაშინ მაინც გაიგებს, თუ სანამდი მიიყვანეს სამხრეთ რუსეთი იქაურმა კედია გვაზავებმა. იქ სავსებით გაატარა დენიკინმა „ივერიის“ აგრარული და ეკონომიური პოლიტიკა. რას ნიშნავს ეს, არ იცის „ივერიამ“ ყველაფერი ეს?! რასაკვირველია იცის.

როდესაც დამფუძნებელი კრება სასტიკ ზომებს ადგენს ანარქიის წინააღმდეგ, „ივერია“ გაიძახის, ეს ცოტაა, კიდევ უფრო მეტი სისასტიკეა საჭიროო. ხოლო როდესაც იმავე საგანგებო დადგენილების ძალით რომელიმე მემარჯვენე კონტრ რევოლიუციონერსა და პროვოკატორს დააპატიმრებენ, მაშინ ის განგაშს ასტეხს. ეს რომელი პოლიტიკური ზნეობაა?

ჩვენ არ ვფიქრობდით არც აქ მოხსენებულ ივერიის მოწინავეს შევხებოდით, მისგან ჩვეული ვართ ამისთანებზე, მაგრამ ის დღესაც სხვათა შორის მენშევიკებზე სწერს „ფარაონის მჭლე ძროხები ისევ მჭლეთ დარჩენ, რასაც ჩვენ ვერ ვიტყვით ჩვენ მენშევიკებზე“...

ესე იგი მენშევიკები გაძღენ, გასუქდენ, არა?!

ჩვენი მინისტრების სუფრა გავსილია სურსათით, მათ ხალხი ფეხებზე ჰკიდიათ და სხვა ამგვარი მარგალიტებით არის ყოველდღე აჭრელებული ეს სახელმწიფოებრივი და დარბაისელი პარტიის დარბაისელი ორგანო. ამაზედ უფრო პრესის ორგანოს გათახსირება, დაკნინება და გახრწნა იშვიათია. ეს დიდი უბედურება, ამ უბედურებას კი უნდა თვით პრესა და საზოგადოება შეებრძოლოს.

ჩვენ გვინდა ოპოზიცია. ოპოზიცია აუცილებელია მართველთათვის ისე, როგორც თევზისთვის წყალი, მაგრამ წყალი ანკარა, წმინდა სათავიდან მომდინარე. ოპოზიცია სასტიკი, მედგარი, მტკიცე, მაგრამ... პატიოსანი, სინდისიერათ მოაზროვნე, საშუალო ნამუსის პატრონი მაინც.

## შენიშვნები

### X.

#### ინფორმაცია

ჩვენი რესპუბლიკა დემოკრატიულია. მის პოლიტიკას ქმნის და უნდა ქმნიდეს დემოკრატია. დემოკრატიამ უნდა იცოდეს ყოველივე რაც ხდება მის ირგვლივ. მისთვის არ უნდა იყოს დაფარული არც ერთი ისეთი საკითხი, რომელიც მის არსებითი ინტერესს შეეხება და რომლის აქტიური მონაწილე ის უნდა გახდეს. თავის პოლიტიკას, თავის ისტორიას ქმნის და უნდა შექმნას თვით დემოკრატიამ. ამიტომ ყოველივე დიდი და მისი საარსებო საკითხი პირველ ყოვლისა მისი მსჯელობის და ყოველ მხრივი განხილვის საგნათ უნდა გახდეს. არ შეიძლება და არც არის დასაშვები, რომ ის ფაქტის წინაშე დადგეს. ეს, სხვა რომ არა იყოს რა, თვით ხელმძღვანელ წრეებს ასუსტებს, აუძლურებს და მათ მიერ გადადგმულ ნაბიჯს აკლებს სიმტკიცეს და ძლიერებას. ხელმძღვანელი პირების გადადგმული ნაბიჯები მხოლოდ მაშინ არის მტკიცე და ურყევი, როცა ის შედეგია, ასე ვსთქვათ, დასკვნაა ხალხის, დემოკრატიის ნებისა და სურვილისა. ამ ნების და სურვილის გამომჟღავნება კი შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ ხალხი ყველა მის გარშემო დატრიალებული რთული საკითხების „კურსშია“. ეს კი მოხდება მაშინ, როცა ხელმძღვანელი წრეები სავალდებულოთ გაიხდიან ყველა დიდ კითხვებში ჯერ მოისმინონ საზოგადო აზრი და მერე მიიღონ ესა თუ ის დადგენილება.

სამწუხაროთ, დღეს ეს ასე არ ხდე-

# დღეს

ლონდონის თათბირის დადგენილების თანახმად მარშალი ფოშის თავმჯდომარეობით დაარსდება უმაღლესი სამხედრო საბჭო, რომელსაც მინდობილი ექნება გერმანიისთვის თვალ-ყურის დევნება და საჭიროების დროს ზომების მიღება.

იტალიის პალატამ მიიღო წინადადება საბჭოთა რუსეთთან ნორმალური დამოკიდებულების აღდგენის შესახებ. მინისტრ პრეზიდენტი ნიტი თანახმაა რუსეთში გაიგზავნოს საზავო დელეგაცია.

გერმანიის საპასუხო ნოტის გარჩევის დროს უმაღლესი საბჭო დარწმუნდა, რომ სკაპა ფლოუს საკითხი ექსპერტთა არ გადაწყდება.

მოკავშირეებს გადაწყვეტილი ჰქონიათ საშვალო ევროპაში ეკონომიური გავლენის სფერო ურთიერთ შორის გაიყონ.

ფრანგული პრესის გადმოცემით ბელგია წინააღმდეგია, რომ ინგლისს—საფრანგეთმა ხელშეკრულებით მისი ნეიტრალიტეტი უზრუნველყოს.

ბა. ყოველივე ცნობას დემოკრატია მხოლოდ მაშინ იგებს, როცა ის თურმე უკვე გადაწყვეტილა, და შესაფერი ნაბიჯიც გადადგმულა. მართალია, ეს ნაბიჯები არას დროს არ ყოფილა დემოკრატიის ინტერესების საწინააღმდეგოთ გადადგმული, მაგრამ მასის აღსაზრდელათ, მის პოლიტიკურ გასაწრთვნელათ, მის ცხოვრების ორონტრიალში ჩასაბმელათ აუცილებელია გაეცნოს ის ყოველივე იმას, რაც მის გარშემო ხდება. ეს აუცილებელია და ეს ასეც უნდა მოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში არა ერთი და ორი უსიამოვნებაა მოსალოდნელი. დღეს დემოკრატია ქუჩის ამბებით იკვებება. ქუჩებზე კი დასეირნობს მაგიური სიტყვა — „ამბობენ". ხოლო, ვინ რას „ამბობს" და როგორ, ამის გამგები არავინაა და ეს სხვათა შორის საზრდოს აძლევს ყველა ჭორაკანას თუ დაქირავებულ აგენტებს გააზვიადოს ყოველივე წვრიმალნი, მოფინოს ქვეყანას, შექმნას ნერვიული მდგომარეობა და შემდეგ ხალხის დაჭიმულ ნერვებს გამოაღებინოს მისთვის სანატრელი ხმა.

სხვა რომ არა იყოს რა, მარტო ეს საკმარისია იმისთვის, რომ ინფორმაციის ხეირიანად დაყენებას მეტად სერიოზული ყურადღება მიექცეს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ამას საგარეო სამინისტრომ. ამ სამინისტროს საეროდ და კერძოთ ამ შემთხვევაში დღეს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ისტორიამ ინება ჩვენი ქვეყნის ბედი ევროპის ბილიარდზე გაეგორებია და ის მასზე სათამაშო ბურთად გაეხადა. ამიტომ ევროპის პოლიტიკის ყოველივე ნაზხეფიც კი ჩვენში დიდ გამოძახილს იწვევს. ამ გამოძახილს კი სწორი ინფორმაციის უქონლობა ხშირათ სრულიად შეუფერებელ მიმართულებას აძლევს.

კვირაზე მეტია მაგ. რაც საზოგადოებაში ხმა დადის ბოლშევიკების რაღაც ნოტაზე. შეზავებული ათას გვარი ჭორებით, ეს ცნობა მრავალნაირ მითქმამოთქმას იწვევს. ჩვენ კი დღესაც არ ვიცით მართლა იყო რაიმე ნოტა თუ არა და თუ იყო—რა შინაარსის და რა პასუხი გასცეს. შეიძლება ეს პასუხი მოსკოვის რადიოთი გავიგოთ, მარა არ გვგონია ასეთი წესი დასაშვები იყოს.

ჩვენ არ ვითხოვთ, რასაკვირველია, ისეთი ცნობების გამოქვეყნებას, რომელიც საზიანო იქნება თვით საქმისთვის, თვით დემოკრატიის ინტერესებისათვის, მარა ისეთი კითხვები, რომელიც ამ მხრით არ წარმოადგენს საშიშროებას, აუცილებლათ დროზე უნდა ეცნოს საზოგადოებას, შეიქნეს მის გარშემო საზოგადოებრივი აზრი და მით გამაგრებული ნაბიჯი, რაღა თქმა უნდა, უფრო მტკიცე, გავლენიანი და ავტორიტეტიული იქნება.

ერთი სიტყვით ინფორმაციის სათანადოთ დაყენებას მეტად სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს. აქ უნდა იყოს გარკვეული ხაზი და პოლიტიკა და არა ქრონიკა და რეგისტრაცია.

განი.

## „ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია"

დაშნაკელების ორგანო „აშხატავორი" არ არის ჩვენი ქცევით კმაყოფილი. სწორედ ასეთ შემთხვევაზედ იტყვიან ფრანგები: ონ ნე პე პა კონტანტე ტუ ლე მონდ, ე სონ პერ. (ყველა კაცს და მასთან მამაშენსაც ვერ მოიმადლიერებო). საქმე შემდეგში მდგომარეობს. საზღვარ გარეთ ეწევიან აგიტაციას საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ. ეს ჩვენ არ გვაკვირვებს. ვისთვისაც არ არის ხელსაყრელი ჩვენი დემოკრატიის გამარჯვება ის, რასაკვირველია, ყოველთვის და ყველა შემთხვევაში გაილაშქრებს, როგორც ჩვენი თავისუფლების, ისე მისი წესწყობილების წინააღმდეგ. მაგრამ ყოველივე პატიოსანი საზოგადო მოღვაწე, თუნდაც ის დენიკინის შტაბის განკარგულებაში იყოს, პირდაპირ გამოსთქვამს თავის აზრს, ხოლო ორპირი პოლიტიკოსი და ქამელეონის თვისების მატარებელი არა პირდაპირ, არამედ მიხვეულ-მოხვეულ გზას ირჩევს. ჩვენ ვიცით, რომ დაშნაკელების შოვინისტური ნაწილი დღემდის ჩვენ წინააღმდეგ აგიტაციას ეწევა. მათ ხრულ განკარგულებაშია მოხალისეთა ლაშქრის პრესა და რომ დესაც „აშხატავორი" სწერს: „არ ვიცით რისთვის ფიქრობენ ქართველი პუბლიცისტები, თითქოს ინგლისური გინდ ფრანგული ოფიციალური ან არა ოფიციალური პრესა თავიანთ მოპყრობას საქართველოსადმი ამყარებენ მხოლოდ დაშნაკცუთიუნის მიწოდებულ ცნობებზეო"—ასეთი განცხადება ჩვენ სასაცილოდ არ გვყოფნის. ინგლის ფრანგული ზოგიერთი გაზეთები თავიანთ აზრს ამყარებენ როსტოვის და ხარკოვის შავრაზმულ ორგანოების ინფორმაციაზედ. იქ კი დიდის პატივით არიან მიღებული ზოგიერთი სომხების პუბლიცისტები. ადგილობრივი სომხური პრესა ერთ შენიშვნასაც არ აძლევს თავის მოძმეების მოღვაწეობას რუსეთში და ამის სრულ დასტურს აძლევს მათ მოხალისეთა ჯარის გულის მოსაგებად სომხეთი ალამაღლონ საქართველოს რესპუბლიკის ხარჯზედ. ჩვენ წინააღმდეგი არ ვართ, რასაკვირველია, რომ სომხის მოღვაწეებმა თავისი ქვეყანა დაიცვან ისე, როგორც მათ ესმით, ეს მათი მოვალეობაა. მაგრამ ვიტყვით გადაჭრით, ჩვენ გვეჯავრება ისეთი ხალხი, რომელიც ფიქრობს თავისი ბედნიერება სხვის უბედურებაზედ ააგოს. ნუ თუ „აშხატავორმა" არ იცის, რომ კულტურულ ევროპაში არსებობს სერიოზულ პრესის გარდა ყვითელი ორგანოები და ეგრედ წოდებული ქუჩის გაზეთები? ის ხომ თვითონ სწერს, რომ „თვით ოსმალეთიც, ეს საერთაშორისო ლეში, არც ერთ საშუალებას არ ზოგავდა, რომ საზღვარ გარეთის პრესაში არ დაეწყო წერა თავისი ზღაპრებისა". ჩვენ ვიტყვით, რომ ჰამდულ-გამიდის მთავრობა კიდეც ახერხებდა ევროპის ზოგიერთ გაზეთებში თავის დაცვას. რასაკვირველია, ის გაზეთები, რომელიც ათავსებდა ჰამდულ-გამიდის ცნობებს სომხებზე, იმავე მიზეზით დიდის სიამოვნებით მოათავსებს დაშნაკელების ზღაპრებს საქართველოს რესპუბლიკაზე. ოსმალეთის მთავრობა, „აშხავატორის" სიტყვით, არც ერთ საშუალებას არ ზოგავდა პრესის, უნდა ითქვას, მოსასყიდად. რასაკვირველია, თუ ლეში ხარ, დიდი პატიოსნება არ მოგეთხოვება საშუალების ძებნაში. ჩვენის აზრით ასეთი უპატიოსნო ხალხის მოქმედების ნაყოფი იყო შემდეგი გარემოება. გეტმანის დროს კიევში გამოდიოდა ქუჩური გაზეთი „ვეჩერი". ორი კვირის წინ, სანამ დაიწყებოდა საქართველო—სომხეთა შეტაკება, ამ გაზეთმა მოათავსა ცნობა, ვითომ ქ. ფოთში ყოფილიყოს პოგრომი და იქ ოთხასი (?) სომეხი ამოეწყვიტოთ ქართველებს. ხოლო ერთი კვირის წინ, სანამ ომი დაიწყებოდა, იმავე გაზეთმა გამოაცხადა, რომ თფილისი სომხებმა აიღესო. ჩვენის ცნობით—ეს ცნობები ადგილობრივ იყო შეთხზული დენიკინელებთან შეთანხმებით იმ ჯგუფების მიერ, რომელნიც „აშხატავორის" სიტყვით „მეტ ნაწილად დათვურ სამსახურს უწევენ ქვეყანას".

ჩვენ ვიცით, რომ ეს ჯგუფები დღემდის იმყოფებიან იმ განცდის გავლენის ქვეშ, რომელიც მათ შეითვისეს წარსული დევნის წყალობით. გაჩნდა ტიპები, რომელნიც ყველგან მტრებს ხედავენ. მათი გადაკეთება მეტად ძნელია, მაგრამ ბრძოლა მათ წინააღმდეგ საჭიროა. ეს შეადგენს თვით ადგილობრივ სომხურ პრესის მოვალეობას. საუბედუროდ არის მეორე გარემოებაც, რომელიც ხელს უშლის სომხის სიმართლის მოყვარულ პუბლიცისტებს მეზობლებზედ ყალბი ცნობების გავრცელების წინააღმდეგ გაილაშქრონ. ჯერ მათ კარგად არ იციან „ვის მიენდონ, საიმედო ვინ არი?" ზოგიერთი ფიქრობს: ვინ იცის—ეგებ ჩალხუშიანი გამომადგეს, ეგებ პოგოსიო. ჩვენის აზრით, ასეთი მდგომარეობა გადამავალია. ატმოსფერა ჩქარა უნდა გაიწმინდოს და შეძლებისამებრ ჩვენ ხელს შეუწყობთ ამ გაწმენდას.

ბ. თეკლათელი.

## დამფუძნებელი კრება

16 ნოემბრის სხდომა.

თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე.

მდივანი კ. ჯაფარიძე კითხულობს თფილისის ებრაელების საზოგადოების დამფუძნებელ კრებისადმი მისალმების დეპეშას. თანახმად გრ. ნათაძის და გრ. შარაშიძის მოხსენებისა, მიიღეს საბოლოო ტექსტები: დეკრეტისა 6,500,000 მან. გადადებისა ტელეგრაფის და ტელეფონის ქსელისათვის საჭირო მასალების და აპარატების შესაძენად ბეჭვდითი ნაწარმოების მთავრობისადმი წარდგენის კანონისა, სახაზინო რკინის გზის ადმინისტრაციის საგზაო ფულით დასაკმაყოფილებლად 1919 წ. აგვისტოს 1-დან ნოემბრის 1 მდე ყოველთვიურად 14,766 მან. გადადების დეკრეტისა.

ილ. ფირცხალაიშვილის მოხსენებით მიღებულ იქნა კანონ პროექტი აფთიაქის პატრონთა და მოსამსახურეთა ზოგიერთი დანაშაულისათვის სასჯელის შეცვლის შესახებ.

გ. ცისკარიშვილის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი თუშების საზოგადოებების: წოვის, ჩაღმის, პირიქითის და გომეწარის თიანეთის მაზრიდან თელავის მაზრაში გადარიცხვის შესახებ.

გრ. გიორგაძე მოახსენებს დეკრეტს დამფუძნებელ კრების კანცელარიის მოსამსახურეთათვის ჯამაგირების მომატებისას. დეკრეტი მიღებულ იქნა სოც.-დემ. ფრაქციის შესწორებით.

ნ. იმნაიშვილის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი 1918—19 წ. სამინისტროს მიერ გაღებულ ხარჯების დასაფარავად ნახ. მილ. მან. გადადების შესახებ. მისივე მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი საქართველოს მუზეუმის შენობის დასამთავრებლად 5,600,000 მან. გადადების შესახებ, ამ კანონ პროექტის განხილვის დროს დიპლომატიურ ლოჟებს იკავებენ საფრანგეთის მისიის წარმომადგენლები ადმირალ დე ბონის მეთაურობით, რომელთაც თავმჯდომარე ალ. ლომთათიძემ შემდეგი სიტყვით მიმართა:

მოქალაქენო, დამფუძნებელ კრების წევრნო! ნება მიბოძეთ თქვენი სახელით მხურვალე სალამი მივულოცო დიდებულ საფრანგეთის შვილთ, რომელნიც გვეწვივნენ ჩვენ სტუმრათ. ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ ის საფრანგეთი და ხალხი საფრანგეთისა, რომელთაც ყველაზე ადრე დაამსხვრიეს ბორკილი მონობისა, გამოიჩენდენ ჩვენი ნორჩი რესპუბლიკის და მისი თავისუფლებისთვის დაუღალავ, მებრძოლ ხალხისადმი ყურადღებას და ერთი ამ ყურადღების დამამტკიცებელი საბუთთაგანი ის არის, რომ მათ კეთილ ინებეს და ეწვივენ დღეს ჩვენი ქვეყნის უზენაეს საკანონმდებლო დაწესებულების საქმიან სხდომას. ჩვენ ღრმა რწმენას გამოვსთქვამთ, რომ საფრანგეთი და მისი თავისუფლების მოყვარული ხალხის სიმპატია ჩვენთან არის იმ გააფთრებულ ბრძოლის დროს, რომელსაც ჩვენი დემოკრატია აწარმოებს ანარქიისა და რეაქციის წინააღმდეგ დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკანურ საქართველოს დასაცავათ. მხურვალე სალამი დიდებულ საფრანგეთს, მხურვალე სალამი ერს, ხალხს საფრანგეთისას. გაუმარჯოს საფრანგეთს, გაუმარჯოს მის ხალხს.

დეპუტატები ხანგრძლივ ოვაციებს უმართავენ ადმირალ დე ბონს და მის ამალას.

ნ. იმნაიშვილი. მოახსენებს დეკრეტს აბასთუმნის კურორტის განადგურებულ შენობათა აღსადგენათ 611,705 მან. გადადებისა.

გრ. გიორგაძე აღნიშნავს რა აბასთუმნის დიად მნიშვნელობას, როგორც კურორტისას, იმედს გამოსთქვამს, რომ მთავრობა მიიღებს ყოველივე ზომებს, რომ კურორტით სარგებლობა შეეძლოთ დაავადმყოფებულ საზოგადო მოღვაწეებს. საჭირო იქნება სხვა თანხის გადადებაც დანგრეულ კურორტის აღსადგენათ. დეკრეტი უკამათოდ მიიღეს.

კ. ნინიძის მოხსენებით მიიღეს დეკრეტი რესპუბლიკის მცხოვრებთა შორის გასანაწილებელ სათესლეს შესაძენად 5 მილ. მანეთის გადადებისა.

რ. არსენიძე აღნიშნავს, რომ სათესლე ხორბლეულობის განაწილების დროს მთავრობამ ყურადღება უნდა მიაქციოს ჩვენი ქვეყნის ჩამორჩენილ კუთხეებს როგორიც არის აღმოსავლეთ საქართველო, რომელთა ხმაც ხშირათ ჩვენამდე ვერ აღწევს.

ნ. იმნაიშვილის მოხსენებით მიიღეს დეკრეტი ყარაიაზის არხის მდ. მტკვრის გასაწმენდათ 150,000 მან. გადადებისა, მისივე მოხსენებით მიიღეს დეკრეტი სასოფლო მეურნეობის მავნებელთა წინააღმდეგ მებრძოლ ბიუროს 1919—20 წ. დამატებითი ხარჯთ აღრიცხვით 260,615 მან. სხვ გადადებისა.

შემდეგ ამისა სხდომა დაიხურა. ადმირალი დე ბონი და მისი ამალა სხდომის დასრულებამდე დარჩნენ.

## დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

17 დეკემბერი.

### მოხალისეთა ცნობები.

ტაგანროგი. 16 დეკ. სამხედრო ცნობა. ცარიცინის რაიონში და ბალაშოვის მიმართულებით მდგომარეობა არ შეცვლილა. ლისკის მიმართულებით მკაცრი ბრძოლა გრძელდება. მდ. ბოგოჩარ და ბელაიას ჩრდილოეთით წითლებმა სოფლები დაიჭირეს. ნოვო-ოსკოლის მიმართულებით ტოპოლის(?) სამხრეთით ბრძოლა ჩვენ სასარგებლოთ სწარმოებს. რომენსკის მიმართ. სადგ. რომოდანის ჩრდილოეთით ბრძოლაა. პირიატინის რაიონში წითლებმა სადგ. გრებენკატო აიღეს. კურსკის მიმართულებით მდგომარეობა არ შეცვლილა. კიევის რაიონში, კოროსტენის და ჟიტომირის მიმართ. აღსანიშნავი ცვლილება არ მომხდარა.

### ბოლშევიკური ცნობები.

მოსკოვი. 16 დეკ. სამხედრო ცნობა. 16 დეკ. ნარვის რაიონში ბრძოლაა. კიევის რაიონში ფასტოვის დასავლეთით 20 ვერსზე ბრძოლა ჩვენს სასარგებლოთ სწარმოებს. დნეპრის მარცხენა ნაპირზე კიევთან არტილერია მოქმედებს. პერეიასლავის რაიონში ჩვენი ჯარი დნეპრიდან 10—15 ვერსის ხაზზე გამოვიდა და პერეიასლავი აიღო. კრემენჩუგის მიმართ. ქალ. ლუბნის ჩრდილო აღმოსავლეთით და ქალ. მირგოროდთან ჩვენი ჯარი იბრძვის. ხარკოვის რაიონში ქ. ვალკის სამხრეთით ჩვენი შეტევა გრძელდება. აღმოსავლეთით სადგ. მერეფასთან მტერი შეეცადა კონტრ იერიშებით შეეჩერებია ჩვენი შეტევა, მაგრამ ბრძოლის შემდეგ ჩვენ ის უკუ ვაგდეთ სამხრეთისაკენ. ხელში ჩაგვივარდა სხვადასხვა სამხედრო ქონება. კუპიანსკის და სტარობელსკის მიმართულებით ჩვენი შეტევა ვთარდება, ჩვენ ბრძოლით ავიღეთ ქალ. ბოგუჩარი და ამ ქალაქის რაიონში ავიღეთ მრავალი სოფლები. გურიევის ტრაქტზე, სახარნოის სამხრეთით 25 ვერსზე ჩვენ ავიღეთ ანტონოვსკის ფორ-პოსტი. სემიპალატინსკის რაიონში ჩვენი შეტევა გრძელდება. ბარნაულის აღმოსავლეთით 25 ვერსზე ჩვენ სადგ. ალტისკაია ავიღეთ. ჩვენმა ჯარმა ნოვონიკოლაევიდან აღმოსავლეთით 15 ვერსზე წინ წაიწია.

ლიონი, 15 დეკ. ლონდონის თათბირზე მოიწონეს საფრანგეთის წინადადება: დაარსდეს უმაღლესი სამხედრო საბჭო ფოშის თავმჯდომარეობით, რომელსაც მიზნათ ექნება გერმანიის თვალყურის დევნება, და თუ საჭირო იქნა, ზომების მიღებაც.

კალუგა, დეკ. 15. მაზრაში დაარსდა სიცივესთან მებრძოლი კომიტეტი. მახლობელ სადგურებზე შეშას ეზიდებიან.

მოსკოვი. დეკ. 16. კოლჩაკის და მარცხების და ციმბირში უკანასკნელი ოპერაციების გამო „იზვესტია" სწერს: ნოვო ნიკოლაევსკის შემდეგ ჩვენი წინსვლა უფრო სწრაფად მოხდება. უნდა მოველოდეთ, რომ რამდენიმე დღის შემდეგ ჩვენი ავანგარდები ტომსკთან მივლენ. ციმბირის მაგისტრალზე ომსკიდან კრასნოიარსკამდე ნახევარი გზა თითქმის გავიარეთ. ამისთვის უნდა მოველოდეთ იანვრის შუა რიცხვებამდე კრასნოიარსკის აღებას. ჩვენი ჯარის კრასნოიარსკის ხაზზე გამოსვლის შემდეგ, მინუსინსკის ერთი გზა იქნება ირკუტსკისაკენ.

ლიონი. დეკ. 14 ავსტრიის კანცლერმა რენერმა ამერიკის ბეჭდვილი ბიუროს წარმომადგენელთან საუბრის დროს განაცხადა: ფულის და სურსათით გარედან დაუხმარებლად ავსტრია ნორმალურ მდგომარეობას ვერ მიაღწევს. რამდენიმე დღის შემდეგ იქ მოხდება სრული კატასტროფა, რომელიც ანარქიას გამოიწვევს.

ნაუენი. დეკ. 12. გერმანია-შვეიცარიის ეკონომიური ხელშეკრულება, რომელიც 12 იანვარს დაიდო, გაგრძელდება დეკემბრის ბოლომდე. ფიქრობენ გამოიმუშაონ ახალი ხელშეკრულება. ამ მიზნით გერმანიის დელეგატები ბერნში მივიდენ. ახალი ხელშეკრულების მთავარი მიზანი იქნება ნასაირის საკითხის გადაწყვეტა.

### გერმანული პრესის ცნობები.

ფრანგული გაზეთების ცნობით შობების დღესასწაულებზე პარიზში საბჭოთა კონგრესის მოწვევას მოელიან. საფრანგეთის კომუნისტურმა პარტიამ, რომელიც თავის თავს მოსკოვის მესამე ინტერნაციონალის ფრანგულ სექციას უწოდებს, სხდომების წესრიგის შესამუშავებლათ 33 წევრისაგან შემდგარი კომისია აირჩია.

ყოფილი კანცლერი ბეტმან-ჰოლვეგი პროტესტს აცხადებს იმ მტკიცების წინააღმდეგ, თითქოს კაიზერის შენიშვნებს არ ქონდეს პოლიტიკური მიზანი და რომ ამიტომ შენიშვნათა გამოქვეყნებასაც პოლიტიკური ხასიათი არა აქვს.

იტალიის პალატაში ნიტიმ განაცხადა: „ამ მომენტში იტალიის მთავრობას არავითარი მიზანი არა აქვს დასდოს რაიმე საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც მომავალში მას შებოჭავს. მან გადაჭრით სთქვა რუსეთის წინააღმდეგ ომი კიდეც რომ დაიწყოს, იტალია მონაწილეობას არ მიიღებსო.

ლონდონიდან მოსული ცნობებით ვტყობილობთ, რომ ოკავშირეთა მბჭობა საშინელი სისწრაფით მიდიოდა. ახალ ათ წევრიან მოკავშირეთა საბჭოს შემადგენლობა უკვე განსაზღვრულია. მასში შევა: ოთხი ინგლისელი, ოთხი ფრანგი და ორი იტალიელი, სახელდობრ: ლოიდ ჯორჯი, კერზონი, ბალფური, ჩემბერლენი, კლემანსო, კამბონი, ლუშერი, ბერლინში მყოფი საფრანგეთის ელჩი, იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრი შალოია და ლონდონში მყოფი იტალიის ელჩი.

ავსტრიის ნოტის გამო კლემანსომ თანხმობა გამოსთქვა, სენ ჟერმენის ხელშეკრულების ძალაში შესვლამდე ავსტრიელი ტყვეების სამშობლოში დაბრუნების შესახებ.

გერმანიის მთავრობამ, საზავო ხელშეკრულების პირობათა აღსასრულებლად განკარგულება გამოსცა საფრანგეთისა და ბელგიისათვის ცხენებისა და შინაურ საქონლის გადაცემის შესახებ.

მოკავშირეებთან ახლო მყოფი წრეები გვამცნობენ, რომ მოკავშირეებს გადაუწყვეტიათ საშვალო ევროპაში ეკონომიური გავლენის სფერო ურთიერთ შორის გაიყონ. გერმანული ავსტრია წინანდელზე უფრო იქნება საფრანგეთის გავლენის ქვეშ.

იტალიის პალატამ მიიღო წინადადება საბჭოთა რუსეთთან ნორმალურ დამოკიდებულების აღდგენის შესახებ. მინისტრ პრეზიდენტ ნიტიმ განაცხადა, რომ იგი სავსებით ეთანხმება რუსეთში საზავო დელეგაციის გაგზავნას. მაგრამ ეს დელეგაცია მარტო სოციალისტები საგან არ უნდა შესდგებოდეს.

ამერიკული ცნობით ვილსონმა უარყო ყოველგვარი შეთანხმება რესპუბლიკანელ სენატორებთან, რომელთაც აკისრებს სენატის მოქმედების სრულ პასუხისმგებლობას ხალხთა ლიგისა და საზავო ხელშეკრულების საკითხში.

### ფრანგული პრესის ცნობები.

კომპინის ციხე-დარბაზში ცეცხლმა გაანადგურა ორი დარბაზი. ზარალი 2 მილიონამდე აღწევს. სამკითხველო გადარჩა.

სამშაბათს სხდომაზე უმაღლესი საბჭო იხილავდა გერმანიის პასუხს მოკავშირეთა ნოტაზე. კლემანსოს ავათმყოფობის გამო სხდომა შესდგა თავმჯდომარის ბინაზე, სხდომას დაესწრო ინგლისის რწმუნებული კროუ, რომელიც ლონდონიდან დაბრუნდა. გამოირკვა, რომ სკაპა-ფლოს საკითხის ექსპერტთა გადაწყვეტა შეუძლებელია. ზოგიერთი მცოდნე პირები სამშაბათს სხდომაზე იყვნენ მოწვეული, მათის აზრით, ისინი აუცილებლად უნდა მოელაპარაკონ გერმანიის ექსპერტებს, რომლებიც სამშაბათს დილით უნდა მოსულიყვნენ.

ბრიუსელის „ინდეპანდას ბელჟიკი" გვამცნობს რა ინგლისისა და საფრანგეთის გადაწყვეტილებას ხელშეკრულება დასდონ ბელგიის ნეიტრალიტეტის გარანტიების შესახებ, ამბობს, რომ ბელგია უარს აცხადებს თავის ნეიტრალობაზედ. გაზეთი დასძენს, რომ მთავრობა არავითარ შემთხვევაში არ დასთანხმდება ბელგიის ნეიტრალობაზე და მოსალოდნელია დელაკრუამ ამის შესახებ პარლამენტში განცხადებაც შემოიტანოსო.

## ახალი ამბები

ბანკეტი ადმირალ დე-ბონის პატივსაცემლად. 16 დეკემბერს ნაშუადღევის 3 საათზე სასტუმრო „ორიანტში" საფრანგეთის ადმირალის დე ბონის პატივსაცემლად გაიმართა ბანკეტი. დაესწრნენ: ადმირალი დე-ბონი ამალით; მინისტრები ნ. რამიშვილი, ნ. ხომერიკი, კ. კანდელაკი, საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგი ნ. ქარცივაძე, გენერალიტეტი, დამფ. კრების ფრაქციათა წარმომადგენლნი, დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის წევრნი თავმჯდომარის ამხ. ს. მდივანის მეთაურობით და სხ. თავმჯდომარეობდა ს. მდივანი. ბანკეტის გათავების შემდეგ საღ. 8 ს. ყველანი წავიდნენ სახელმწიფო თეატრში, სადაც მიდიოდა „აბესალომ და ეთერი" საზოგადოება სტუმრებს დიდის ოვაციებით შეხვდა. საღამოს 11 საათზე ადმირალი დე ბონი ამალით და შტაბით ბათუმისაკენ გაემგზავრა. სადგურზე ადმირალი გააცილეს მთავრობის წარმომადგენლებმა, საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა ლ. პ. მელიქიშვილმა კი ბათუმამდე.

✦ ცეცხლი ენფიანჯიანცის თამბაქოს ქარხანაში. 16 დეკემბერს, საღ. 5 ს. ენფიანჯიანცის თამბაქოს ქარხანას, ვაგზლის ქუჩაზე, ცეცხლი გაუჩნდა. დაიწვა ქარხნის ერთი ნაწილი და თამბაქოს გადასარჩევი განყოფილება. ცეცხლის ჩაქრობაში მონაწილეობას ღებულობდნენ: ცეცხლის ჩამქრობი რაზმი, ჯარის ნაწილები და მილიცია. ცეცხლის გაჩენის მიზეზი გამოურკვეველია. ზარალი დიდია.

✦ ენფიანჯიანცის თამბაქოს ქარხნის [illegible] უსაქმოდ დარჩენილ მუშათა მდგომარეობა.

✦ სავადმყოფო კასები. დამფუძნებელი კრების შრომის კომისიას წარედგინა ფ. ლორიას მოხსენება სავადმყოფო კასების არსებულ კანონის გადასინჯვისა და ამ კანონში დღევანდელ პირობების თანახმად სათანადო ცვლილებათა შეტანის შესახებ. კომისიამ განიხილა მოხსენება და დაადგინა გადასცეს ის შრომის სამინისტროს, რათა მან გადაათვალიეროს სავადმყოფო კასების კანონი და მოახდინოს შესაფერი ძირითადი რეფორმა.

✦ ერობა ნეიტრალურ ზონაში. რედაქციამ შემდეგი დეპეშა მიიღო: ნეიტრალურ ზონის (ბორჩალოს მაზრა) გლეხთა დეპუტატების საბჭო, რომელიც შეიკრიბა სოფელ უზუნლიარში ადგილობრივ ერობის ხმოსანთა პირველ ყრილობაზე, სალამს უძღვნის ერობათა კავშირს როგორც თავის უფროს ძმას და სთხოვს მას არ მოაკლოს დახმარება საერობო მუშაობის ნარ ეკლით მოსილ გზის გაკაფვაში. კრების თავმჯდომარე ათანახიანი.

✦ ქართული ოპერა. პარასკევს, 19 დეკ. საოპერო სტუდია ქარ. სამუსიკო საზ-ბისა და საქ. ცენტრ. კოოპერ. კ-რის სახალხო სახლში სდგამს ქართულ ოპერას „თქმულება შოთა რუსთაველზე" მუს. დ. არაყიშვილისა.

✦ სახელმწიფო თეატრში. დღეს წარმოდგენილ იქნება ვ. დოლიძის ორიგინალური კომიკური ოპერა „ქეთო და კოტე".

✦ მექრთამეობისათვის. თფილისის მილიციის უფროსმა მექრთამეობისათვის სამსახურიდან დაითხოვა და სასამართლოს გადასცა უმცროსი მილიციონერები: გიორგი დოლუზაშვილი და თედორე ნესტიაშვილი.

✦ სახალხო უნივერსიტეტი. დღეს, საღ. 6 ს. სახ. უნივერსიტეტის ქართულ განყოფილებაში დანიშნულია შემდეგი ლექციები: ცენტრ. განყ. (მუშათა კლუბი) 1) ექ. ალშიბაია „ჩვენი ქვეყნის სიმდიდრენი" 2) ი. ირემაშვილი „ეკონომიური საკითხები" 1 განყ. (ნაძალადევი) 1) ექ. ტურიაშვილი „გიგიენა" 2) ი. ანთაძე „საქართველოს ისტორია" 3 განყ. (ჩუღურეთი) 1) ს. მესხი „სამშობლოს აღწერა", 2) ექ. ცეცხლაძე „საუბარი ჯანმრთელობაზე", 4 გამნყ. (ორთაჭალა) 1) შალამბერიძე ქიმია, 2) კოტეტიშვილი „სოციოლოგია", ხსენებულ ერთ ერთ განყოფილებაში იქნება მოხსენება აბრამიშვილისა „ხელოვნების შესახებ".

### კრებები

18 დეკემბერს ნაშუადღევის 4 საათზე დანიშნულია ჩვეულებრივი კრება საქ. სოც. დემოკ მუშათა პარტიის მე-7-დე რაიონულ კოლექტივისა.

— დღეს, საღამოს 5 საათზე, ბიუროს ბინაზე დანიშნულია საქ. ს. დ. მ. პ. მეექვსე რაიონულ კოლექტივის წევთა მორიგი სხდომა.

— დღეს, 18 დეკემბერს შესდგება ს. ს. დ. მ. პ. მესამე რაიონის კოლექტივის ჩვეულებრივი სხდომა. (კახეთის ქ. № 1.)

— დღეს, საღამოს 6 ს. ბიუროს ბინაზე შესდგება საქართველოს ს. დ. მ. პ. მეორე რაიონული კოლლექტივის წევრთა ჩვეულებრივი კრება.

— დღეს, საღ. 6 საათზე, თავის ბინაზე, შესდგება მეოთხე რაიონული კოლექტივის წევრთა მორიგი სხდომა, ადგილებიდან მოხსენების გასაკეთებლად, სხდომაზე აუცილებლად უნდა დაესწრონ რაიონში მყოფ მცირე კოლექტივებისა და მუშების წარმომადგენლნი.

## გვარდიის დღე

პროვინციაში.

ბათუმი. 12 დეკემბერს ქართველებმა დილიდგანვე მორთეს ეროვნული დროშებით თავიანთი სახლები და სავაჭროები, რითაც ქალაქს ამით ქართული ელფერი დაედო. ქუჩაში მუშები ერთმანეთს ულოცავდენ დღესასწაულს და იმედს გამოსთქვამდენ, რომ გასათ უფრო კარგათ და ფართოთ იდღესასწაულებენ ამ დღეს აქ. სადგურზე თავი მოუყრია ქართველ მოსწავლე ახალგაზრდობის ნაწილს, მუშებს და სხვადასხვა პირებს. უცდიან მატარებელს. გულის ამაჩუყებელი სურათი იყო, როდესაც სხვადასხვა ფრონტებზე მყოფი გვარდიელები შეხვდენ ერთმანეთს და ულოცავენ დღესასწაულს, ჰკოცნიან ერთმანეთს. მოვიდა მეშვიდე ნომერი მატარებელი. ერთ ვაგონზე წარწერაა: „გაუმარჯოს თავისუფლების დარაჯს, სახალხო გვარდიას", „გაუმარჯოს რეს

...ბლიკის სიამაყეს სახალხო გვარდიას" ...შენც გინდა მთელს საქართველოს-...ან ერთათ შესძახო—„გაუმარჯოს, მა-...ამ გვერდზე ინგლისელი ჯარისკაცი ...დგას ჯოხით და ნიკოლოზ მეორის ...ელი „ოპრიჩნიკი" თოფით. ამ ვაგონიდან გამოვიდა ახალგაზრდობა, ჰყი...დან ჟურნალ გაზეთებს. ოჩხამურის ...ლმიდან თავისუფლება ამათ ჩამოგვი...ნეს. წამსვე სხვა სახე მიიღო სად...ურმა, დაიტაცეს ყველა ჟურნალ-გაზეთები და პირველი ნომერი მატარებლის ...სვლამდე არც ერთი არ დარჩათ. პირველი ნომერი მატარებელი ჯერ არ ...ნს. ველოდებით. პირველ საათზე ...ვიდა ისიც.

საუცხოვოთ მოაწყვეს სამაგიერო ...რთქმავალი ბათუმელმა ამხანაგებმა ზედ წარწერით—„სალამი ბათუმიდან საქართველოს სახალხო გვარდიას". ვაგონებიც ლამაზათ არის მოწყობილი, შესაფერი ზედ წარწერებით.

ამ მატარებელმა არ მოგვიტანა ის, რასაც ველოდით. რას ველოდით მისგან, ჩვენც არ ვიცით.

ყველა საშინელი დალვრემილი დაბრუნდა სახლში. გრძნობდენ, რომ დღეს დიდი ეროვნული დღესასწაულია, დღეს მისი სამშობლო და განსაკუთრებით მუშათა კლასი ზეიმობს, მაგრამ აქ კი, აქ, სადაც პირველათ დაირწა ამიერ-კავკასიის რევოლიუციის აკვანი, კვლავ წყვდიადი მეფობს, სხვა დაპატრონებია. რა კარგი იყო, რომ დღეს ჩვენც, როგორც სხვა ნაწილს საქართველოისას, მოგვესმინა სიტყვები თავისუფლება ძმობა-ერთობაზე. გ. ა—ბელი.

---

**ხაგარეჯო.** გვარდიის დღე ჩინებულად ჩატარდა. თუმცა მთელი გვარდია წასულია ფრონტზე, მაგრამ შტაბმა მაინც შესძლო ამ დღისათვის საზეიმო ელფერი მიეცა. დილის ათ საათზე პროცესია გაემგზავრა სადგურზე, სადაც შეეგებნენ თფილისიდამ მოსულ მატარებელს. მატარებელს თან მოჰყვა მარტყოფის გვარდია. პირველად მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა ნათლ. კახ. რკ. გზ. შტაბის წევრმა ამხ. ექვთვრაძემ, გარე კახეთის შტაბი სახელით დ. ნაცვლიშვილმა, ახალგაზრდა მარქსისტების სახელით ვ ჯაფარიძემ. დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღეს მონაწილეებმა და პოლიტიკურმა პარტიებმა. ვ. მოეერი.

# უცხოეთი

რუსეთი.

**სიონისტების დაპატიმრება.** გაზეთ „სტამბოლ"-ის ცნობით საბჭოთა მთავრობამ პეტროგრადში და მოსკოვში დააპატიმრა ბევრი გამოჩენილი სიონისტები. ებრაელთა ნაციონალური საფონდო ფული ჩამორთმეულ იქნა. სიონისტებს სდევნიან საბჭოთა რუსეთის სხვა ქალაქებშიაც. მიზეზათ ასახელებენ სიონისტების დასავლეთ ევროპის იმპერიალისტებთან კავშირს.

ინგლისი.

**ასკვიტი რუსეთის შესახებ.** ოქსფორდის უნივერსიტეტის ლიბერალურ კლუბის კრებაზე ასკვიტმა წარმოსთქვა ვრცელი სიტყვა, რომელშიაც იგი ჰკიცხავს ინგლისს და მოკავშირე სახელმწიფოებს რუსეთის მიმართ გაბედულ პოლიტიკის უქონლობის გამო. რუსეთის საკითხის შესახებ ასკვიტმა შემდეგი განაცხადა: რუსეთის ხალხს შესაძლებელია ორ გზით მივუდგეთ: ერთი—ბალშევიზმი ცნობილ უნდა იქნეს საერთაშორისო საშიშროებათ; ამ შემთხვევაში იგი უნდა აღგვილ იქნეს დედამიწის პირიდან და ამ მიზნით ყოველგვარი და გაბედული დახმარება უნდა გაეწიოს დენიკინ კოლჩაკს და სხვა ბალშევიზმის წინააღმდეგ მებრძოლ ძალებს; მეორე—მიეცეს საშუალება რუსეთის ხალხს თვითონ შეადგინოს სასურველი მთავრობა. ამ შემთხვევაში მოკავშირეთა სახელმწიფოებმა ყოველ გვარი ზომები უნდა მიიღონ ახლათ დაარსებულ სახელმწიფოების დასაცავათ, როგორც გერმანიის, ისე ბალშევიკების თავდასხმისაგან. ასკვიტის აზრით უკეთესი და სამართლიანი იქნებოდა უკანასკნელი პოლიტიკა, რომელსაც გადაჭრით დაადგებოდა ინგლისის პრემიერ მინისტრიც, რომ იგი თავისი მოქმედებაში თავისუფალი ყოფილიყო. ბოლოს ასკვიტი ეხება ბალშევიკების წინააღმდეგ ბრძოლას და აღნიშნავს, რომ დენიკინ-კოლჩაკის მიზნების განხორციელების საქმე დღეს უფრო უნუგეშო მდგომარეობაშია, ვინემ რამოდენიმე ხნის წინათ იყო.

**კაპ. კენფორტის და პროფ. პერსის აზრი.** თემთა პალატის დეპუტატმა კაპ. კენფორტმა რუსეთის საკითხის შესახებ შემდეგი განაცხადა: უნდა ანგარიში გაეწიოს ფაქტებს და დროა დავინახოთ, რომ საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლა თითქოს კიდეც ძალას ჰკარგავს მას, თუ კი ბრძოლას თავს დავანებებთ—ერთად ერთი გამოსავალი რუსეთთან ზავის ჩამოგდება იქნება მიუხედავათ იმისა, გვსურს ეს ჩვენ, თუ არა. რუსეთში მშვიდობიანობის დამყარება სასარგებლო იქნება, როგორც ინგლისისათვის, ისე მთელ ევროპისათვის. გაბედულ პოლიტიკის წარმოებას რუსეთის საკითხში მოითხოვს მოკავშირე სახელმწიფოების მხრით პროფეს. პერსიც, რომელმაც დიდი ხანი იცხოვრა ციმბირში და ადგილობრივ გაეცნო რუსეთის ცხოვრებას.

ამერიკა.

**პრეზიდენტის არჩევნებისათვის.** შეერთებულ შტატებში მალე უნდა იქნეს არჩეული პრეზიდენტი. ჩიკაგოდან მოსულ ცნობების თანახმად, იქ მომხდარა მრავალ რიცხოვანი მუშათა ყრილობა, რომლის საგანსაც საპრეზიდენტო კანდიდატის დასახელება შეადგენდა.

ოსმალეთი

**ცეცხლი.** უკანასკნელ ორ კვირის განმავლობაში სტამბოლში 5 დიდი ცეცხლი გაჩნდა. გადამწვარია 400 მდე სახლი. რამოდენიმე ათასი მცხოვრებლები უბინოთ დარჩა, რომლებიც ამ ჟამათ მეჩეთებს აფარებენ თავს.

ადერბეიჯანი.

**„მუსავატ"-ის ყრილობა.** 11 დეკემბერს 7 დღის მუშაობის შემდეგ ბაქოში დაიხურა თურქთა ფედერალისტების დემოკრატიულ პარტიის „მუსავატ"-ის მე-2 ყრილობა. ყრილ. დაესწ. „მუსავატ"-ის ცენტრ. კომიტეტი მთელი შემადგენლობით, საპარლამენტო ფრაქცია და 140 მდე დელეგატი ადერბეიჯანის ყველა პროვინციებიდან. ყრილობაზე ცხარე კამათი გამოიწვია ცენტრალურ კომიტეტის მოხსენებამ თავის მუშაობის შესახებ. ოპოზიციურათ განწყობილი წევრები კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდენ მოხსენებას და აღნიშნავდენ, რომ ცეკას უმოქმედობის გამო გლეხებში და მუშებში პარტიის პრესტიჟი შელახულია. იბრაგიმ ხალილმა განაცხადა: ჯებრაილსკის რაიონში და აუგანში ბეგებმა 3 ჯერ ძალით გადაახდევინეს გლეხებს ლალა გადასახადები; მისი აზრით ამით აიხსნება ის მოვლენა რომ ბევრ ალაგს დაეცა „მუსავატ"-ის პრესტიჟი და მისი ალაგი „იტტიხად"-მა დაიკავა. მანვე აღნიშნა მოვლენები, რომ ბევრი წევრები ერთ და იმავე დროს სხვა პარტიის წევრათაც ითვლებიან. დიდი კამათი გამოიწვია აგრარულმა საკითხმა. ოპოზიციის წევრები უკიჟინებდენ საპარლამენტო ფრაქციას ამ საკითხისადმი უყურადღებობას. პარლამენტის წევრმა რზა ბეგ ათაბეგოვმა საპასუხოთ სხვათა შორის განაცხადა: „ქართველებმა დაურიგეს მიწა გლეხებს; მაგრამ ჩვენ ვერ მოვახერხეთ ის, ვინაიდან განსაკუთრებულ პირობებში ვიმყოფებით". ყრილობაზე აღინიშნა ასეთივე წინააღმდეგობა აგრარულ პროგრამაში; ზოგი მომხრეა მიწა სასყიდლით გადაეცეს, ზოგი უსასყიდლოთ. ბოლოს შესწორებულ იქნა აგრარულ პროგრამის მე22 და 25 მუხლები შემდეგ სახით: 1) სახაზინო, ყოფილ მეფის, მემამულეების და აგრეთვე კერძო მესაკუთრეთა მიწები უნდა ჩამორთმეულ იქნას უსასყიდლოთ და დაურიგდეს მშრომელ გლეხობას, 2) მიწის გადაცემის დროს მემამულეთა და კერძო მესაკუთრეთა კუთვნილი წყლის მაქაჩავებელი და მატორები ჩამოერთმევა მათ სასყიდლით, რასაც პატრონები მიიღებენ ფონდიდან, რომელიც შისდგება შემოსავლის ქვალობაზე დაწესებულ გადასახადების დაწესებით. მომენტის შესახებ მიღებულ რეზოლიუციის დედა აზრი შემდეგია: ყრილობა პრინციპიალურათ სცნობს საუმჯობესოთ კავკასიის სახელმწიფოებისათვის ერთი კონფედერატიული სახელმწიფოში შეკავშირებას და მოუწოდებს მთავრობებს იმუშაონ ამ იდეის განსახორციელებლათ; ყრილობა საშიშროებას ხედავს დენიკინელთა მის წრაფვებაში და მოუწოდებს დემოკრატიას მზათ იყოს მოსალოდნელ თავდასხმისაგან თავის დასაცავათ; ყრილობა თანაგრძნობას გამოსთქვამს მთიელთა მიმართ, რომლებიც მედგრათ იცავენ თავიანთ თავისუფლებას მოხალისეთა თავთასხმისაგან.

# დავიწყებული სიზმარი

(ნინო ჩხეიძის იუბილეს გამო)

როდესაც ჩვენი სცენის სიამაყეს ნ. ჩხეიძეს უსმენდი ხოლმე,—გული ყოველთვის უჩვეულოდ მიწყებდა ცემას და ყვავილოვანი ფიქრები მეუფლებოდნენ...

ალბათ გინახიათ თქვენი ყრმობის გარიჟრაჟისას პირველი ტრფობის შევარდისფერებული სიზმარი. წარმოგიდგენიათ თავი თვისი იმ გრძნეულ მეფეთ, რომლის თვითეულს გაღიმებაზე ვარსკვლავებით იჭედება ცა, ფრთოსანთა ჭიკჭიკით ცოცხლდება ლაჟვარდი, ვარდ ყვავილებით ლაღანდება წალკოტი და სიყვარულის ეშხით იგზნებიან გულში.

თქვენა გნდომებიათ გახანგრძლივება ამ სიზმარისა, მაგრამ რა სურვილი აჰხდომია ადამიანს, რომ თქვენ აგხდომოდათ. გამოგიღვიძნიათ ტიალს სინამდვილეში და მწარედ აქვითინებულხართ. სიზმარი იგი გამქრთალებულა და ბოლოს მთლად გამქრალა ვით ცისარტყელა ფერად-ფერადი.

სწორედ ასეთს იშვიათს სიზმარს გაგონებთ ნ. ჩხეიძე.

გსურთ მიჰხვდეთ, გაიგოთ, თუ ვის სიზმრათაა ნ. ჩხეიძე ამ ქვეყნად დარჩენილი და ვერ მიმხვდარხართ.

ერთხელ, როდესაც იგი რომელიღაც როლის აღსრულებისას სანატრელ განცდას გვგვრიდა,—იდუმალ რამ ხმამ ჩამძახა, რომ იგი დავიწყებული სიზმარია იმ სამოთხისა, რომელიც ოდესღაც ამშვენებდა ჩვენს ქვეყანას. იგი ის ანგელოზია, რომელიც შეაძრწუნა ღვთის რისხვამ, მორჩილებით არ გაჰყვა ზენაარ ქვეყნად, არჩია აქ დარჩენა და მას აქეთია, რაც კაცობრიობასთან ერთად იწვება სევდის სახმილში.

ხალხისგან ვერაფრით გამოარჩევთ, ისე შეესისხლხორცა და შეემსგავსა...

მისს უკვდავებას ამტკიცებს მარტო ის, რომ მისი სახე ღვთიური შუქითაა გაბრწყინებული, მისი ხმა სამოთხის იაზმითაა შეფრქვეული და მისი გული იმ სიყვარულის ცრემლითაა აპირთავებული, რომელიც ტიალ-ცხოვრების კუნაპეტ ღამეს გვიელფერებს, სასოების შარავანდედით და თილისმიან ძახილით მიგვიწოდებს მშვენიერების მწვერვალებისკენ.

აი ვინაა ნ. ჩხეიძე და რისთვისაა მისი თამაში ასე დაუვიწყარი. აი რისთვისაა მისი ხმა კაეშნით მოხავერდებული და თვალები ცრემლთა ისრებით დამურული.

ალბად იმიტომ მომაგონა მისმა თამაშმა პლატონის სული, რომელიც ელევა ამ მდორე ცხოვრებაში და ჰნატრობს ციურს სამშობლოზე.

ჭეშმარიტად ნუცას არსებაში უდიადესი დრამა სწარმოებს. მას ვერც დაუთმია საგოდებლად გადაქცეული ეს ქვეყანა, რომელიც სათუთ ფრთებს ულანძავს, ოცნებას უცრიატებს და ვერც სამოთხეს ივიწყებს, რომელიც ოდესღაც ალაღებდა კაცობრიობას.

ნუცას სწამს, რომ მისი წმინდა ლოცვა, სილამაზის ლიტურღია ჩვენს ხელოვნების ტაძარში ისეთს წარმტაცს მრავალსახოვან სიმფონიად გაიზრდება, რომ უეჭველად აღწევს მოთვალულ მეწვიდე ცამდის და მოაგონებს იქაურ მკვიდრთ მივიწყებულ ქვეყანას.

ამ სიმფონიის პირველ ჰანგებმა უეჭველია აახწიეს, რომ იმედის ცისარტყელა აელფერდა საქართველოს მეწამულ ცაზე.

ნუცას სასოებიანი ლოცვა უეჭველად მოაგონებს სილამაზის ღმერთს ნასამოთხარს საქართველოს და კვლავ ედემად ააყვავებს. კვლავ გადააქცევს მას ქერუბიმთა მუზათა და ანგელოსთა პარნასად.

დ. თურდოსპირელი.

# მთავრობის სტამბების გაერთიანება

კარგა ხანია აღძრული იყო საკითხი მთავრობის სტამბების საქმეთა მოწესრიგების შესახებ. ის გარემოება, რომ ძველი მთავრობისაგან დარჩენილი სტამბები მეტათ უნუგეშო მდგომარეობაში იყო, სარგებლობის ნაცვლად ზარალს აძლევდა ახალ მთავრობას,—ბევრს აფიქრებდა და აწუხებდა.

სამწუხაროდ, რესპუბლიკის მთავრობამ ადრე ვერ მიიღო ზომები თავისი სტამბების საქმეთა მოსაგვარებლად. აგერ წელიწადზე მეტია ამის შესახებ ზრუნვა არის და ზოგიერთი სტამბის საქმე ჯერაც ვერ ჩამდგარა შესაფერ კალაპოტში.

კარგა ხანია მას შემდეგაც, რაც მთავრობაში დაიბადა აზრი სტამბების გაერთიანებისა. არჩეულ იქმა კომისია და მას მიენდო მთავრობის სტამბების მდგომარეობის გამორკვევა. კომისიამ დაასრულა მუშაობა და მოხსენება წარუდგინა მთავრობას. კომისიაც იმ აზრს დაადგა, რომ გაერთიანდეს სტამბები, მოეწყოს ერთი მართველობა და სხვ. ყველა საქმეები მთავრობის სხვადასხვა დაწესებულებათა, რომ შესრულდეს, ამისთვის საკმაო იქნება ერთი დიდი სტამბაც კი, ფართოდ და კარგად მოწყობილი, შესაფერი შენობით,—გამოსთქვამდა კომისია, ხოლო რადგან ამ ჟამად შესაფერი შენობის შოვნა შეუძლებელია, ამიტომ შესაძლებლად დაინახეს ორი სტამბის დატოვება.

ორი სტამბა რომ თავისუფლად ეყოფა მთავრობის სხვადასხვა უწყებებს, ცხადია. თუ ძველად არსებობდა ამდენი სტამბები, საჭიროც იყო, რადგან თფილისი ცენტრი იყო თითქმის მთელი კავკასიის. დღეს მდგომარეობა შეიცვალა და ამდენი სტამბის დატოვება თუ ზარალს არ მისცემდა დღევანდელ მთავრობას, ვერც სარგებელს მოუტანდა.

ეგრედ წოდებული მთავარმართებლის სტამბა დღეს ეკუთვნის შინაგან საქმეთა სამინისტროს. მტკიცება არ უნდა, რომ ერთ სამინისტროს ასეთი მოზრდილი სტამბა არ ესაჭიროება. ასევეა სამხედრო სამინისტროს კუთვნილი სტამბის (წინად სამხედრო შტაბის) საქმეც. საკუთარი საქმე ცოტა აქვს და იძულებულია ბეჭდოს კერძო საქმეები. მიუხედავათ ამისა რამდენიმე საბეჭდავი მანქანა მაინც უსაქმოდ დგას.

მეტად კარგათ მოწყობილი რკინის გზის სტამბაც, რა თქმა უნდა, ჩვენი რკინის გზისათვის დიდია და რამდენიმე მანქანა იქაც არ მუშაობს.

არის კიდევ მეოთხე საკმაოდ მოზრდილი სტამბა მეტეხის ციხისა, რომელიც ამ ბოლო ხანებში სხვადასხვა უწყებების ხელში გადადიოდა. იგი განსაკუთრებით კერძო საქმეებით მიდიოდა იოლად და დღეს უკვე დაკეტილად არის გამოცხადებული.

არის აგრეთვე რამდენიმე წვრილი სტამბა, მაგრამ მე მათზე არ შევჩერდები. უმთავრესია ეს სტამბები და ამათ უნდა მიექცეს მეტი ყურადღება.

ამ სტამბებიდან უნდა გამოიჰრას ორი სტამბა. ერთი—რკინის გზისა—უკვე არის, საქმეები მიემატება, განყოფილებები გაფართოვდება და საერთოდ გაუმჯობესდება მისი მდგომარეობა. მეორე უნდა მოეწყოს ცენტრში, შესაფერი შენობით და კარგად მოწყობილი სხვადასხვა განყოფილებებით: საბეჭდავ-საწყობით, საკინძავი, სახაზავი, ასოთ ჩამოსასხმელი, ცინკოგრაფია, სტერეოტიპია და სხ. ისე უნდა მოეწყოს, რომ მეტოქე არ ჰყავდეს ჩვენში. ამას აქვს მნიშვნელობა სახელმწიფოებრივადაც და ეკონომიურადაც—შეიძლება ყოველგვარი საქმეების შესრულება კარგად და ბლომად, რაც შემოსავალს გაადიდებს.

ბეჭდვის გარდა ჩვენში დიდი მნიშვნელობა აქვს შრიფტის ჩამოსხმასაც—ერთად ერთი ფირმაა (მადერი), რომელიც რიგიანად ასხამს ქართულ ასოებს, მას მეტოქეობას ვერავინ უწევს. მთავრობის სტამბებთანაც არსებობს ასოთ ჩამოსასხმელი, მაგრამ ვერ არის კარგად მოწყობილი, იმდენსაც ვერ ამზადებს და ვერც ისეთი ღირსებისას. ასევეა სახაზავის, ცინკოგრაფიის და ზოგიერთ სხვა დარგების საქმეც. ყველა ამათ ესაჭიროებათ დაჩქარებით მოწყობა, რადგან მოთხოვნილება დიდია.

მთავრობის კუთვნილი სტამბები იმდენად ბევრია და ისეთი ღირებულების, რომ თუ გავაერთიანებთ და ახალ საფუძველზე დავაყენებთ, თითონვე შესძლებენ თანდათანობით სხვადასხვა განყოფილებების მოწყობა მოწესრიგებას. ჩვენ ასეთი მაგალითიც გვაქვს—ქალაქთა კავშირის სტამბამ მოაწყო რვეულების სახაზავი და სულ ცოტა ხნის განმავლობაში თითქმის ნახევარი მილიონი რვეული გამოუშვა.

იმისთვის, რომ მივიღოთ ერთი მოზრდილი სტამბა, საჭირო იქნება ყოფილ მთავარმართებლის და სამხედრო შტაბის სტამბის გაერთიანება. ეს ორი სტამბა უნდა გადატანილ იქნას ახალ შენობაში, რაც უვარგისია უნდა მოშორდეს და რაც კარგია—დარჩეს. ამით შევძლებთ ჩვენს რესპუბლიკას შემოსავლის წყარო გავუჩინოთ.

რამდენადაც ვიცით, ეს ყველაფერი მთავრობას გადაწყვეტილი აქვს, და თუ მე ამის შესახებ ამ შენიშვნას ვწერ, ამით მინდა ხელი შევუწყო ამ საკითხის დაჩქარებით დაბოლოვებას. ჩემის ფიქრით, რამდენადაც დაჩქარებით მოხდება ეგ, იმდენად უკეთესია ყოველის მხრით. დაგვიანება კი საქმეს წაახდენს, ჩვენი რესპუბლიკის სიმდიდრეს ზიანს მიაყენებს.

მეთვალყურე.

# გემების შეძენის საკითხი ჩვენში

გაზეთებში აღნიშნული იყო, რომ ჩვენი მთავრობა მოწადინებულია შეიძინოს რამოდენიმე გემი რესპუბლიკის საკუთრებათ. მასთანვე ასახელებდენ ბ-ნ ხოშტარიას, რომელიც, ვითომ, გაემგზავრა კიდეც ამერიკაში გემების სასყიდლად. აგრეთვე საქართველოს სატრანსპორტო საზოგადოება, რომელშიაც მთავრობაც იღებს მონაწილეობას, სცდილობს შეიძინოს გემები.

ყველას კარგათ აქვს წარმოდგენილი, თუ რა არის ზღვასთან დამოკიდებულება სხვის ტონაჟით და რაა თავის ზღვის ტონაჟის ქონება. ჩვენის აზრით, ამ საქმის სისრულეში მოყვანა აჩქარებით არის დაწყებული, წინასწარ შეუსწავლელათ.

მართლაც: წარმოვიდგინოთ ერთ წამს, რომ ბ ნ ხოშტარიას მოგზაურობა მშვიდობით დამთავრდა და ჯერ შე ვატყობინა და მერე დიდი ხნის დაგვიანების შემდეგ „სანოვაგე-საქონლით" დატვირთული გემები საქართველოს საკუთრებათ პრესაში გამოცხადებულნი—„პრეზიდენტი ჟორდანია" და „საქართველო" მოადგა ჩვენს ნაპირებს.

წარმოვიდგინოთ აგრეთვე ერთ წამს, რომ სატრანსპორტო საზოგადოებამაც შეიძინა იტალიაში ორი გემი „თამარ მეფე" და „რუსთაველი" და ისინიც „დატვირთულნი" მოადგნენ ჩვენს ნაპირებს.

რა სიხარულით შეეგებება ხალხი ამ ცნობას, როგორ ყველანი იწყებენ ფოთში მოგზაურობას, რომ თავიანთ თვალით იხილონ ქართველი ხალხის საკუთრებად ნაყიდი გემები.

ხალხის წარმოდგენაში, იმ დღის შემდეგ გაქრება ყოველივე სიმშილი და სიძვირე, რადგან საკუთარი გემები განუწყვეტლივ იწყებენ ზიდვას საზღვარგარეთიდან ყოველივე სანოვაგეს, ნაცვლად ჩვენი ნედლი საქონლისა.

მაგრამ, როგორ მალე დაეკარგება ხალხს იმედი, როცა დაინახავს, რომ გემები თითქმის ცარიელნი მოადგნენ სამშობლო ნაპირებს და მხოლოდ იმ დროს, როცა გამოჩნდება საქართველოს ნაპირები, შესძლეს აეფრიალებინათ საქართველოს დროშა.

განცვიფრებული ხალხი მწუხარებით მოისმენს ბ-ონ ხოშტარიასაგან და სატრანსპორტო საზოგადოებისაგან შემდეგ გრძელ საშინელ ამბავს:

ბევრი წვალებისა და აუარებელი ფულის დახარჯვის შემდეგ, როგორც იქნა შეიძინეს, პირველმა ამერიკაში ძველი ორი გემი და მეორემ იტალიისაგან იაპონიაში ნაყიდი ძველი გემები. მერე მკითხველი მოისმენს მას, რა საშინელი წვალებით დაამტკიცეს ნაყიდობის ქაღალდები-ნოტარიუსებთან, ნამეტნავათ ამერიკაში, რადგან არც ერთი ნოტარიუსი არ თანხმდებოდა ნაყიდობის ქაღალდი საქართველოს სახელმწიფოს და მის მთავრობის სახელობაზე შეედგინათ, რადგან ვერც ერთ „სახელმწიფოთა ალმანახში" ვერ იპოვეს დამოუკიდებელი სახელმწიფო საქართველო და ამიტომ, იძულებულნი იყვენ კერძო პირებზე „საქართველოს ქვეშევრდომთა სახელზე" დაემტკიცებინათ ნასყიდობის ქაღალდი, რადგან წინასწარი პირობები შეუძლებლად ჰხდიდა უარის ყოფას ნაყიდობაზე.

მერე მსმენელი მოისმენს ჩვენი დროშის ტრაღედიას, როცა ამერიკის ნავთსადგურში აფრიალებულ საქართველოს დროშით (იმისდამიუხედავათ, რომ კაპიტანი არწმუნებდა ბ ნ ხოშტარიას, რომ ნავთსადგურიდან არ გაგვიშვებენო) დააპირა ორმა გემმა გამოსვლა და როგორ სანაპირო ზედამხედველებმა არ გამოუშვეს და კინაღამ ზარბაზნებიც კი დაუშინეს და ამის გამო როგორ დაჰკარგეს მთელი კვირა და მაინც იძულებულნი გახდნენ საშინელ ფასებში ეყიდათ „ამერიკული დროშა"! როგორ მეორდებოდა ეს ინგლისის ნაპირეზთან, გიბრალტარის სრუტეში, საფრანგეთში, იტალიაში და კონსტანტინოპოლში (აი რატომ მხოლოდ საქართველოს ნაპირეზთან აფრიალეს საქართველოს დროშა!) მერე მკითხველი მოისმენს საშინელებას საქონლის თაობაზე.—როგორი სიხარულით დატვირთეს გემები სანოვაგე საქონლით და ქვანახშირი წამოიღეს იმ ანგარიშით, რომ პირველისავე ნავთ-სადგურში მიიღებდნენ ქვა ნახშირს, მაგრამ, როგორ მოსტყუვდნენ, რადგან საგენტოს უქონლობის გამო პირველივე ნავთსადგურში მათ უარი უთხრეს ქვა-ნახშირზე (რადგან ქვა-ნახშირი რიგით ეძლევათ გემებს ყველა ნავთ-სადგურებში და ამ რიგისთვის კი უნდა გემებს აგენტები ყავდეს ყველა ნავთ-სადგურებში, რათა წინასწარ დაიკვეთოს აგენტმა—საქონელი. ამისათვის კი საჭიროა რადიოთი ადრევე შეტყობინება) და როგორ ბევრი წვალების შემდეგ, ერთმა საგენტომ მოხერხებული სპეკულიაციით მისცა ქვა-ნახშირი და რომ ყველა ნავთ სადგურში არ გამეორებულიყო ეს, იძულებულ იყვნენ იმავე ნავთსადგურში ნახევარ ფასებში გაეყიდათ ერთი მესამედი სანოვაგე საქონელი და განთავისუფლებული ადგილები ქვა ნახშირით აევსენათ, რათა ფოთამდის საკმარისი ქვა ნახშირი ჰქონოდათ.

ნუ ეგონება მკითხველს, რომ მე აქ რაიმე გადავაჭარბე. ყოველივე ეს სინამდვილეთ იქცევა, თუ ჩვენ მართლაც, საკუთარი გემები შევიძინეთ იმ პირობებში, რა პირობებშიაც ეხლა საქართველოს რესპუბლიკა იმყოფება.

ყველამ უნდა იცოდეს, რომ ზღვებზე გემის დროშას ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც ხმელეთზე და სახელმწიფო ტერიტორიაზე სამინისტროებს და ჯარს.

ვერც ერთ სრუტეს ვერ გაივლის გემი, თუ მეზღვაურთა დროშების ენით არ განაცხადა სანაპირო დარაჯთა წინაშე თავისი ვინაობა,—ვინ არის, საიდან მოდის და სად მიდის. თუ სანაპირო დარაჯთა ალმანახში არ მოიპოვება აფრიალებული ბაირაღის ვინაობა, რა სახელმწიფოს ეკუთვნის, თუ ცნობამ ეჭვი გამოიწვია, გზის განაგრძობას არ მისცემენ და დაატყვევებენ და თუ არ აასრულეთ მათი ბრძანება, ზარბაზნებსაც მიმართავენ.

ყველასათვის ცხადია, რომ შეუძლებელია გემების ქონება (ნამდვილ გემებისა და არა ნავ შ უნებისა) უაგენტუროთ. საგენტოები ყველა დიდ ნავთსადგურებში ისეთივე საჭიროებაა გემებისთვის, როგორც ქვა ნახშირი. გემი ვერც ნახშირს მიიღებს, ვერც თავის დროზე საქონელს დატვირთავს, ვერც თავის დროზე მოიშორებს ბარგს თავიდან და ვერც „კარანტინებს" გაიქცევა თვითობით, თუ აგენტურა არა ჰყავს ყველა მნიშვნელოვან ადგილს.

საჭიროა აგრეთვე მცოდნე მეზღვაურნი ქართველნი, [illegible] ერთ მეხუთედს მაინც, რადგან თუ ესე არ იქნება, [illegible] (ზღვის კანონები!) და ზიანის მეტს ვერას მოგვიტანს საკუთარი გემები.

მაგრამ ნუ ჰგონია მკითხველს, რომ ყოველივე ამით მე მინდა მის გულში გამოვიწვიო უიმედობა. ნუ დააყრდნობს თავს ჩვენი დემოკრატია მაგიდას და ნუ მიეცემა მწარე ფიქრებს!..

მე მხოლოდ აჩქარების წინააღმდეგ ვლაპარაკობ. ჩემის აზრით, საჭიროა გემების შეძენით კი არ დავიწყოთ საქმე, ე. ი. ზევიდან ქვეით, არამედ ქვეიდან პატარიდან ზევით დიდისკენ და ეს კი შესაძლებელია შემდეგი სახით:

უპირველეს ყოვლისა უნდა მოეწყოს სხვადასხვა სახელმწიფოების მნიშვნელოვან ნავთსადგურებში სავაჭრო საგენტოები, რომელთა დანიშნულება იქნება, სხვათა შორის, აგრეთვე საზღვაო აგენტურთა შექმნა, ან განსაზღვრულ პირობებით სხვა აგენტურაში შესვლა. ამისათვის კი საჭიროა წინასწარი მოლაპარაკება, ხელშეკრულობის დადება და სხვა.

ამას მით უმეტეს აქვს მნიშვნელობა, რომ ამ საგენტოთა შემწეობით, როგორც ჩვენ ინტერესების დამცველთ განსაზღვრულ პირობებში, ჩვენ შევძლებთ საქონლის დროზე დატვირთვას და გადმოტვირთვას, საწყობების შოვნას, საქონლის შენახვას (თუ მაგალითად იმ დროს ფასები ცუდია) და სხვა. მხოლოდ მაშინ არ დარჩებიან უნახშიროთ ჩვენი გემები. გემების ყიდვის მაგივრათ, ყოველივე ჩვენი ძალ-ღონე უნდა იქნეს მიმართული იმისკენ, იდრე საქართველო ცნობილი არ არის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ და არ შეგვიძლიან საქართველოს დროშის ქვეშ ნაოსნობა, რომ ხელსაყრელ ფასებში იჯარით ავიღოთ—დავიქირავოთ რამდენიმე გემი, ერთი, ორი, სამი წლით, რათა იმ დროშის ქვეშ შეგვეძლოს ნაოსნობა, ვის საკუთრებათაც არის ცნობილი დაქირავებული გემები, ამ მხრივ მთელი ჩვენი ყურადღება უნდა მიქცეულ იქნას აღმოსავლეთ საკენ—იაპონია-ჩინეთისაკენ, რადგან მხოლოდ იქ არსებობს ისეთი პირობები, რომელიც ნებას მოგვცემს ხელ საყრელ პირობებში გემების დაქირავებას, რადგან ტონაჟი ომიანობის დროს კი არ შემცირებულა იქ, როგორც ევროპის სახელმწიფოებს მოუვიდათ, არამედ—გაიზარდა.

ხელშეკრულობის ძალით დაქირავებულ გემებში უნდა ხელი შევუწყოთ და წავაქეზოთ ახალგაზრდა ქართველობის „იუნგებად" მიღება, რათა პრაქტიკულათ შეისწავლონ ზღვაოსნობა.

ამით არ უნდა დამთავრდეს ჩვენი ცდა და მოღვაწეობა ტონაჟის შეძენის შესახებ.

სპეციალურმა კომისიამ შეუწყვეტლად უნდა იმუშავოს ზღვის ტეხნიკის შესწავლაზე, რადგან დიდმა ომიანობამ გასაკვირველი და მოულოდნელი დასკვნა მისცა საზღვაო მეცნიერებას.

გერმანიის ნავებმა ისეთი ზარალი მიაყენეს ზღვის ტონაჟს, რომ ვერც ერთი სახელმწიფო ვერ შესძლებდა ამ ტონაჟის ანაზღაურებას, თუ ახალ გზებს არ მოსძებნიდენ გემების ასაგებათ.

ამერიკამ თავისი გაბედულობით სძლია ყოველივე დაბრკოლება, რადგან რკინა ბეტონი იხმარა გემების კორპუსების ასაგებათ—რკინა ფოლადის მაგივრათ. მანვე პირველმა შეამჩნია მსოფლიო ბაზარზე საშინელი შემცირება ქვა ნახშირისა, რადგან სამხედრო ფლოტებმა შთანთქეს ყველა სადგურებზე დამზადებული ათ წლობით ქვა ნახშირი, და საზოგადოთ შრომის დაცემით გამოწვეულმა მსოფლიო ქვა ნახშირის ბაზარზე შიმშილი და ამ უკანასკნელ სამი წლის განმავლობაში აგო 50 იალქნიანი გემები, ხუთ-ხუთი უდიდესი ანძებით, ხუთი ათასი ტონის აწევით თითო, ე. ი. დაუბრუნდა ძველი ზღვაოსნობის წესს იალქნებით მუშაობას მეორე საუკუნეში, მაგრამ ამით მან აიცილა თავიდან ტონაჟის ნაკლულოვანება და ფრახტის სიძვირე, რადგან ქვა ნახშირი უფრო და უფრო მატულობს ფასში, ქარის ძალა კი ყოველთვის მუქთი იყო!

აგრეთვე საზღვაო ტეხნიკის მეცნიერებამ მიაქცია ყურადღება დიზელის ვერტიკალურ მანქანების მოხმარებას გემების აგების დროს. შესწავლილ და გამოანგარიშებულ იქმნა, რომ დიზელის მანქანები, რომლებიც იკვებებიან არა ქვა ნახშირით, არამედ ნავთით, უფრო ხელ საყრელია ყოველ მხრივ და ნამეტნავათ კი ტონაჟის გადიდებით, სითბოს საწვავ მასალის და მეზღვაურთა „კომანდის" შემცირებით. რუსებმა ასეთ გემებს „პარახოდის" მაგივრათ „ტეპლოხოდები" უწოდეს, მაგრამ ჩემის აზრით სჯობს დიზელის გემი უწოდოთ. უნახავ სურათს წარმოადგენს ზღვაზე ასეთი გემები. არა აქვს საბოლე, რომლის შიგნიდამაც შავი ბოლი ამოდის, არა აქვს ანძები, მხოლოდ მისცურავს უფრო სწრაფათ ზღვის სივრცეში.

დანიამ და ნორვეგიამ, იმისდა მიუხედავათ, რომ საკუთარი ნავთი არა აქვთ, უკვე უარჰყვეს ძველ ორთქლმავალ გემების აშენება და მხოლოდ დიზელის გემებს აშენებენ.

მით უმეტეს ჩვენთვის არის ყოველ მხრივ ხელ საყრელი ეს ახალი სარჟა გემები. ნავთის გაცილებითი იაფობა ჩვენში, მეზღვაურთა სიმცირე და პატარა სახელმწიფოს არა მდიდარი ხაზინა, გვიკარნახებს, რომ რაც შეიძლება მეტი ეკონომიით აღჭურვილი გემები შევიძინოთ მომავალში, რადგან მხოლოდ ამ შემთხვევაში შევსძლებთ ზღვაზე მოვიკიდოთ ფეხი.

თამამად ვიტყვი, რომ ერთი დიზელის გემის ყოლა სჯობია, ვიდრე ოთხ ორთქმავალ გემის, რადგანაც დიზელის გემი თავის საკვებ ნავთს იმდენს იღებს თან, რომ მას შეუძლიან წავიდეს იაპონიაში და დაბრუნდეს უკან ან და არგენტინაში ჩავიდეს და ამოვიდეს და არც ერთხელ არ შევიდეს არც ერთ ნავთ სადგურში, ე. ი. ოთხმოცი დღე დაჰყოს გზაში თავისი საჭირო შესაქეთით.

კაცობრიობამ ახალი უფრო სარჟა და ყოველ მხრიდან ეკონომიურად აშენებული გემები შეჰქმნა და ჩვენ ნავთის სიმდიდრის გამო ამ გეზს დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ.

ჩემი დასკვნა ასეთია:

ვიდრე საქართველო არაა ცნობილი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, იოლათ წავიდეთ იჯარით აღებულ გემებით და ამისათვის იაპონიას და ჩინეთს უნდა მივმართოთ და არა დამსხვრეულ მოშაკვდავ ევროპას.

გამუდმებული მუშაობით უნდა შევქმნათ აგენტურები და სააგენტოები ან და უცხოელთა სააგენტოებთან უნდა შევკრათ საჭირო ხელშეკრულებანი ამის შესახებ. და მომავალ ზრუნვისათვის, როცა საქართველო ცნობილი იქნება სუვერენულ სახელმწიფოდ და მე ამაში დარწმუნებული ვარ,—უნდა შევისწავლოთ როგორც ზღვაოსნობა, აგრეთვე საზღვაო გემების მეცნიერება და მთელი ჩვენი ძალით ვეცადოთ ერთი ორი დიზელის გემის შეძენა ან შეკვეთა გემების ასაშენებელ ქარხანაში ამერიკა-იაპონიაში.

თუ ოდესმე ჩვენი დემოკრატია შესძლებს შეიძინოს ორი დიზელის გემი 14—16 მილის სისწრაფით საათში, საქართველო უზრუნველ ყოფილი იქნება ოთხჯერ ან ხუთჯერ იაფ დიდ ტონაჟით, რომელიც მისცემს ნებას გაიტანოს თავისი საქონელი მსოფლიო ბაზარზე და კონკურენციაში მიიღოს მონაწილეობა, როგორც გაყიდვაში, აგრეთვე სყიდვაში.

ამ საქმეში აჩქარება ზარალის მეტს არას მოგვიტანს, რადგან მსოფლიო ომმა შესცვალა ყველა პერსპექტივები ზღვის ნაოსნობისა.

ნუ დაგავიწყდებათ, რომ ახალ დემოკრატიულ სახელმწიფოს აღმშენებლობის დროს, ხაზინის შემოსავალი გადასახადების სახით ერთი ორად უნდა შემოკლდეს და ხაზინის მთელი ყურადღება ეკონომიურ რაციონალურ სახით შექმნილ აღებ მიცემობაზე და მრეწველობის განვითარებაზე უნდა დამყარდეს.

გემების შეძენა და მათი ექსპლოტაციაც ეკუთვნის ამ ახალ აღებ-მიცემობის მრეწველობის განვითარებას და ჩვენი ვალია ის გზა ამოვირჩიოთ ამ საკითხშიაც, რომელიც უკეთესია.

დათიკო ივ. რთხტომაშვილი.

## ს.-დ. პარტიაში

**ხაშური.** ხაშურის ორგან. ს. ს. დ. მ. პ. კომიტეტი აცხადებს, რომ 21 ნოემბრის გაფართოებულ სხდომის რეზოლიუციაში, რომელიც მოთავსდა „ერთობას" 270 ნომერში, ის ადგილი, სადაც ნათქვამია, რომ „არც ერთი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ორგანიზაციები არ იდგა თავის მოწოდების სიმაღლეზე", ეს ამონაწერი სინამდვილეს არ შეესაბამება. იქ ასე უნდა იყოს ნათქვამი, რომ ზოგიერთი ორგანიზაციები არ იყვენ თავის მოწოდების სიმაღლეზე.

ხაშურის ორგანიზაციის კომიტეტი.

---

**სამტრედია.** 14 ნოემბერს შესდგა სამტრედიის კოლექტივის კრება. მდივანი აცნობს კრებას, რომ თანახმათ კოლექტივის დადგენილებისა მიღებულ იქნა აბაშის ს. დ რაიონულ კოლექტივისაგან ვ. კორძაიას შესახებ პარტ სასამართლოს გამოძიების და დადგენილების ასლები, სადაც სასამართლოს დადგენილების თანახმათ ვ კორძაია რჩება უბრალო პარტიის წევრათ და არ შეიძლება იმის არჩევა არავითარ საპასუხისმგებლო ადგილზე. სასამართლოს ის უცვნია დამნაშავეთ. ვ. კორძაიამ მიუხედავათ იმისა, რომ იცოდა ეს დადგენილება, 14 სექტემბერს სამტრედიის საკოლექტივოს პარტიულ კრებაზე უარი არ განაცხადა და ყუთი დაიდგა კომიტეტის წევრების არჩევის დროს და აგრეთვე ის გამოვიდა დეპოს ორგანიზაციიდან შემდგარ ფარულ საორგანიზაციო კომისიის სახელით მომხსენებლათ ერთ კრებაზე, რითაც მან შეიტანა ჩვენს პარტიულ მუშაობაში არევ დარევა. მიიღო რა ყველა ეს მხედველობაში, ამიტომ ბიურომ დაადგინა: დღეიდან ვასილ კორძაია იქნეს პარტიის წევრობიდან გადაყენებული, რაც გამოცხადდეს გაზეთებში. კოლექტივის კრებაზე წაკითხულ იქნა ძიების და ოქმის ასლები, რის შემდეგ კოლექტივმა ერთხმათ დაადასტურა ბიუროს დადგენილება.

რაიონულ კომიტეტიდან მოხსენებას აკეთებს ლ. ბ—ძე. ის აცნობს კრებას კომიტეტის დადგენილებებს და აღნიშნავს, რომ კომიტეტი უმთავრეს ყურადღებას ამ ჟამათ აქცევს ყაჩაღობა-დეზერტირობასთან ბრძოლას. კომიტეტის კრებაზე მოხსენება იქნა სამაზრო კომიტეტიდან გაკეთებული, რის მოსმენის შემდეგაც კომიტეტმა მიიღო დადგენილება სასწრაფოთ რეგისტრაციის შედგენის შესახებ და სხ...

მოისმინა რა მოხსენება კოლექტივი ადგენს: დაევალოს ორგანიზაციებს სასწრაფოთ წარმოადგინონ პარტიის წევრთა ახალი რეგისტრაცია.

შემდეგ კოლექტივმა მოისმინა რა მოხსენება ამხ. ვასილ ახობაძის კოოპერაციის მნიშვნელობაზე, კოლექტივი ადგენს: ვიღებთ რა მხედველობაში შექმნილ პირობებს, მოვუწოდებთ ყველას დაეხმარონ კოოპერატივებს გულით, რათა უკანასკნელს მიეცეს საშუალება შეიძინოს სურსათ-სანოვაგე და სხვა.

ლ. ლევანიძე.

## მუშათა შორის

**ვერის მუშათა კლუბი.** 12 დეკემბერი დიდი დღესასწაულია საქართველოს დემოკრატიისა. აკი, ამიტომაც მან ის დააფასა და კიდეც ღირსეულად იდღესასწაულა.

ვერის მუშათა კლუბის გამგეობამაც თავისი წვლილი შეიტანა ამ საერთო მხიარულებაში და კლუბის დარბაზში გამართა პატივსაცემი საღამო. საღამოს დაესწრენ ვერის რაიონის გვარდიელნი, თავიანთი ოჯახობებით. საღამო გაიხსნა ამხ. ნ. რამიშვილის მოკლე და შინაარსიანი მოხსენებით—„გვარდია და მისი მნიშვნელობა"-ზე. საზოგადოება ალტაცებით შეხვდა და მომხსენებელი ტაშის ცემით დააჯილდოვეს. შემდეგ ადგილობრივ სცენის მოყვარეთა მიერ, ელ. ჩერქეზიშვილის, ანკარას, იორდინიშვილის და საფაროვის მონაწილეობით, წარმოდგენილ იქნა აქვ. ცაგარლის 3 მოქმ. კომედია „რაც გინახავს, ველარ ნახავ". წარმოდგენამ კარგად და მხიარულად ჩაიარა. წარმოდგენა გათავდა 11 ნახ. ს. რის შემდეგ გვარდიელებმა მოაწყვეს ამხანაგური ვახშამი, რასაც მხოლოდ გვარდიელნი დაესწრენ.

14 დეკემბერს გაიმართა მორიგი წარმოდგენა გამრთობი საზოგადოებისა. განმეორებულ იქნა იგივე პიესა—„რაც გინახავს ველარ ნახავ", ერთის განსხვავებით: თამაშობდენ მხოლოდ ადგილობრივი სცენის მოყვარენი: უნდა გულწრფელად ითქვას, რომ რეჟისორს ეტყობა არ დაუკლია თავისი ძალ-ღონე პიესის მომზადებისათვის, ამიტომ წარმოდგენამ მეტად მწყობრად ჩაიარა.

აღსანიშნავია ის მოვლენა, რომ ვერის მუშათა კლუბს ჰყავს მეტად კარგი ძალები სცენისათვის და მათი გამოყენება შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ მათ ეყოლება დახელოვნებული ხელმძღვანელი.

ეს უკანასკნელი წარმოდგენები მეტად მწყობრად ტარდება, ეტყობა რეჟისორის ხელი. თუ ასე გაგრძელდება, მაშინ ვერის მუშათა კლუბს ეყოლება გამოწვრთნილი სცენის მოყვარენი, რომლითაც ასე ღარიბია საერთოდ მუშათა კლუბები.

„უცხო".

---

**თფ. რკ. გზის საქონლის სადგური.** 11 დეკემბერს მოხდა თფილისის რკ. გზის საქონლის სადგურის სოციალ-დემოკრატიული „იაჩეიკის" კრება ნ. ჯიბლაძის თავმჯდომარეობით. პირველად მოხსენება გააკეთა ამხ. ვალ. ხურიძემ მუშათა პროფ. სექციის გამგეობის სახელით. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ სექციის გამგეობას მრავალი დაბრკოლებები გადაულახავს და ენერგიულათ უმუშავნია, ყველა ნაწარმოები რიგზეა დაყენებული და ბოროტ-მოქმედებასთან ბრძოლაშიც დიდი უნარი გამოიჩინა. გამგეობის პარტიის წევრების რეგისტრაცია მოუხდენია პრეზიდიუმს და გამორკვეულა, რომ ზოგიერთი წევრები ფორმალურათ ყოფილა ჩაწერილი და არც საწევრო ფულს იხდიდენ და არც კრებაზე ესწრებოდენ. ყველა ეს განხილულ იქნა კრების მიერ და პარტიის გარეშე დასტოვეს ზოგიერთი წევრები და რომლებსაც მხოლოდ საწევრო ფულების შემოუტანლობა ქონდა მიზეზათ, წინადადება მისცეს ორი კვირის განმავლობაში გაასწორონ საწევრო ანგარიშები. სექციის გამგეობას შეუძენია გადიდებული მარქსის სურათი იაფ ფასში და მორჩენია 300 მანეთი, რომელიც კრებამ შესწირა ადგილობრივ სამკითხველოს. შემდეგ შემუშავებულ იქნა კანდიდატთა სია მუშათა სექციის გამგეობის წევრებისა და წაყენებულია ასარჩევათ შემდეგი პირები: ლავრენტი წითლიძე, დიმიტრი ქლენტი, ვასო ელიკაშვილი, კოწია ჩანტლაძე, სამუელ ცოცხალაშვილი, სიმონ ასამბაძე და არსენ ანთიძე; კანდიდატებათ: კირილე გაბუჩია და არსენ მახარაძე.

განი—ცანი.

---

**ორთაჭალის მუშათა კლუბი.** კლუბს ამ ბოლო დროს სიცოცხლის ელფერი დაეტყო. გამგეობის მიერ გაბედულ ნაბიჯების გადადგმამ ზოგიერთ ნაკლულევანების მოსასპობათ და გონებრივათ კლუბის მაღალ წერტილზე დაყენებამ ნათლათ გვაგრძნობინა მისი დაუშრეტელი ენერგია, და ერთხელ და სამუდამოთ ჩაჰკლა პესიმიზმი, რომელიც სუფევდა კლუბის წევრებს შორის. წარმოდგენები მსახიობ ქივიძის ხელმძღვანელობით ჩინებულათ მიდის. კვირას წარმოადგინეს ავ. ცაგარელის უკვდავი კომედია „რაც გინახავს ველარ ნახავ", რომელიც კარგათ ჩატარდა. იყო დეფექტები უმნიშვნელონი.

გოგია.

## სახალხო გვარდიისთვის

სალამი თავისუფალ საქართველოს სახალხო გვარდიას.

მადლობასთან ერთად ჩემს ღრმეს და უგულითადეს სალამს ვუძღვნი საქართველოს თავისუფლების დამცველ გმირებს—სახალხო გვარდიას, რომელიც იცავს საქართველოს ჯართან ერთად, ერთგულად და თავგანწირვით საქართველოს თავისუფლებას, ჩვენს ქონებას, ჩვენს სიცოცხლეს და საქართველოს კუთვნილ თითო მტკაველ მიწას. ღმერთსა ვსთხოვ, მათს ძლევამოსილებას, ჯანმრთელობას და სიცოცხლეს.

გაუმარჯოს საქართველოსათვის თავდადებულს ჯარს და სახალხო გვარდიას. მტკიცედ დამცველს თავის საყვარელი სამშობლოსას.

ამასთანავე გაახლებთ, ბატონო რედაქტორო, ორმოცდა ათ თუმანს ჩვენი ძვირფასი გმირების გვარდიელების სასარგებლოდ. ვიცი მცირეა ეს წვლილი, მაგრამ „სულით და გულით მოძღვნილი მცირედიც შეიწირების" *).

ხოხიკო მერკვილაძე.

---

ამხ. რედაქტორო! ჩვენი სიამაყის, ჩვენი თავისუფლების გუშაგის, ჩვენი სახალხო გვარდიის მართლადაც დიდი დღე—12 დეკემბერი, მართლადაც დიდებულათ აღნიშნა, დიდებულათ იზეიმა მადლიერმა სამშობლომ, მადლიერმა დემოკრატიამ, მშობელმა თავისი პირმშო შვილისა—სახალხო გვარდიისა.

სახალხო გვარდიელზე ზრუნავს და იზრუნებს კიდეც ჩვენი მთავრობა, მაზედ უნდა იზრუნოს მთელმა კოლლექტივმა—ჩვენმა დემოკრატიამ, როგორც მთელმა, მაგრამ კერძოთ, ცალკე ყოველივე ჩვენგანმა მოვალეთ უნდა გაიხადოს თავისი თავი შეძლებისა დაგვარად, რითაც და როგორც მოეხერხება, იზრუნოს მასზე. ამ მიზნისთვის მე, როგორც ერთი ერთგული, მოვალედ ვრაცხ ჩემს თავს ამ დიადი დღის, 12 დეკემბრის, მოსაგონებლად და აღსანიშნავად ყოველ წლიურად სახალხო გვარდიელთა სალაროში შევიტანო ხუთასი მანეთი **), რასაც გაახლებ ამასთანავე. ამ მიზნისკენ მისასწრაფებლად მოვუწოდებ მრავალს...

ხარდიონ მამალაძე.

## პროვინცია

**ხაჩხერის რაიონი.**

17 ნოემბერი.

უკვე სოფ. ჩონთოში ვართ: რაზმის უფროსმა ამხ. ტრ. ლაბაძემ გაყო რაზმი რამდენიმე ნაწილათ. სტრატეგიული პუნქტები დაკავებულია. საზოგადოებას ვანიარაღებთ, მეამბოხეთა მეთაურებს ვატუსაღებთ. გრძელდება სასტიკი გამოძიება ყაჩაღ ბანდიტთა შესახებ. ვიწვევთ კრებებს და ვუხსნით ხალხს მისვლის მიზეზს, მთავრობის დადგენილებებს და სხვა. ხალხი ხედავს ყველა ამას და ძლიერ მოხარულია, მაგრამ რაღაც უიმედობასაც გამოსთქვამს.

ეს დიდებული საქმე გადაუწყვეტია ჩვენს მთავრობას, სთქვა ერთმა მოხუცებულმა, თუ მართალია რასაც თქვენ გვეუბნებით, ჩვენ მაგარი მთავრობა გვინდა ჯარი და გადასახადები უნდა მივცეთ მთავრობას; იარაღი სახლში რათ გვინდა; ჩვენ თანახმა ვართ ყველა მოთხოვნილება მთავრობისა ავასრულოთ, სთქვა მეორე მოხუცებულმა. ჩვენ არც შარშან ვიყავით მთავრობის წინააღმდეგი, მაგრამ გადმოვიდნენ 20 მდე შეიარაღებულნი გორის მაზრიდან და ძალით გაგვირეკეს ჯოხებით წინ. ეხლაც რომ თქვენ ერთი კვირა დაგვიგვიანებიათ, შარშანდელი ამბავი განმეორდებოდა; ჩვენ დიდი მოხარული ვართ თქვენი მოსვლით; მოხარული ვართ, მთავრობამ რომ თავის დროზე გამოგზავნათ და განადგურებას გადავრჩით."

24 ნოემბერი.

მზვერავი რაზმის უფროსმა ამხ. ლევ. გამყრელიძემ შეიპყრო ცნობილი მეამბოხე, ტყის მცველი პავლიკო კაპანაძე; განარიადა ბზისხევი და ლოპანი (გორის მაზრის სოფლებია) ცუდი ამინდებია, არშინი თოვლია, ყინვა საშინელი. გვარდიელებს ნაძვებს ქვეშ დაუნთიათ დიდი ცეცხლი. გვარდიელთა სულიერი განწყობილება საუცხოვოა; ძლიერ გვალონებს უთუთუნობაც არსად დუქანი. 40 ვერსის მანძილზე ვართ დაშორებული საჩხერეს. საღამოს ჟამია; მახლობელ გორიდან შიკრიკმა გადმოგვძახა: „ქიათურის გვარდიის შტაბმა თუთუნი და გაზეთები გადმოგვიგზავნაო". სამარისებური სიჩუმე საერთო მხიარულებითა და ყიჟინით შეიცვალა: „გაუმარჯოს ქიათურელებსო" გაფაციცებით ვკითხულობდით გაზეთებს. გვინდა გავიგოთ სხვა მხარეების ამბავიც, გაზეთებმა კარგი ამბები მოგვიტანა ლანჩხუთიდან და ჩოხატაურიდან.

25 ნოემბერი.

შეპყრობილ მეამბოხე ბანდიტთა შესახებ მოწმეების დაკითხვას აწარმოებს საველე შტაბი. დაკითხვებიდან ირკვევა, რომ სოფლები: ჩონთო, ჯვარი, ლოპანი და ლომისა ეს შემაერთებელი ძაფი ყოფილა გორისა და შორაპნის ბანდიტებისა; გამოირკვა, რომ ამ სოფლებში იკრიბებოდნენ „ბოლშევიკ-ბანდიტები" და ამზადებდნენ როგორც გამოსვლას, ისე მშვიდობიან მგზავრებზე ყაჩაღურათ თავდასხმას.

მთავარი პირები მეამბოხეებში არიან სახაზინო ტყის მცველები, რომლებსაც თავიანთი ჯიბე სახელმწიფოს სალაროთ—ხაზინათ გადაუქცევიათ. სცხოვრობენ რა ტყეში და აქვთ რა მიცემული მთავრობისაგან თოფი, აწყობენ კრებებს ოსებთან ერთად, მიდიან მახლობელ სოფლებში, აგროვებენ იარაღებს და გაჰყავთ ხალხი ძალათ.

28 ნოემბერი.

თანახმად პოლკ. ხიმშიაშვილის დეპეშისა გაიგზავნა მზვერავი რაზმი 50 კაცისაგან შემდგარი ჩორჩანო ბრილ და მახლობელ სოფლებში, ადგილობრივ პირობების შესასწავლათ და ამ სოფლების გასანიარაღებლათ დაბრუნების შემდეგ რაზმმა მრავალი იარაღები და საჭირო ცნობები მოგვიტანა. მეორე რაზმი გაიგზავნა ლიჩის საზოგადოების ზოგიერთ სოფლებში, საიდანაც რაზმი კმაყოფილი ჩამოვიდა; საზოგადოებაც სიხარულით შეხვედრია რაზმს. საღამო ხანია; ცა მოწმენდილია, ყინვაა. საველე შტაბის კრებაა. ასარჩევია სამხედრო საველე სასამართლო. ხანგრძლივი კამათის შემდეგ სასამართლო აირჩა სამი პირისაგან. აირჩა ბრალმდებელი და სახელმწიფო დამცველი.

2 დეკემბერი.

სამხედრო საველე სასამართლოს სხდომა დანიშნულია ღია კარებში. დილიდანვე იწყო ხალხმა დენა სასამართლოს შენობისაკენ. ხალხი გულის ფანცქალით უცდის სასამართლოს განაჩენს; იგი უცდის მართლმსაჯულებას. ბრალდებულთა სკამზე სხედან შორაპნის მეამბოხეთა ორგანიზატორები და ადგილობრივ გლეხ ი. ნოზაძის მკვლელნი: გიორგი და ნიკოლა გელაშვილები და მიხა სამხარაძე.

სამარისებური სიჩუმეა; სასამართლოს თავმჯდომარე რამდენიმეჯერ ეკითხება ბრალდებულთ: სცნობენ თუ არა თავს დამნაშავეთ. ბრალდებულები უარს ამბობენ. ბრალმდებელი უყენებს თვითეულს ბრალდებებს. დამცველი აძლევს პასუხს. არის შეკითხვები მოწმეების და დამნაშავეთ; ხალხი სულ განაბული უყურებს. სხდომა სწყდება 15 წუთით. სასამართლო გადის მეორე ოთახში დადგენილების გამოსატანათ; დარბაზში აივანზე და ეზოში აუარებელი ხალხია. ყველანი გულის ფანცქალით უცდიან სასამართლოს განაჩენს. თავმჯდომარე აცხადებს განაჩენს: სიკვდილით დასჯას სამივე დამნაშავეთ. ეტყობა, ხალხი განაჩენით კმაყოფილია.

ამავე დღეს, 2 დეკემბერს, მზვერავი რაზმის პავლე კობახიძის მეთაურობით პლიდან და ჩორჩანოდან (გორის მაზრა) მოიყვანეს გორის ბანდიტების მეთაურები: პეტრე აბულაძე, სარდიონ კაპანაძე და მიხა მუმლაძე.

5 დეკემბერი.

საველე სასამართლოს სხდომაა, ხალხი ბლომათ არის; ყველა დაინტერესებულია პეტრე აბულაძის და მისი ამხანაგების საქმით. სასამართლომ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა პეტრე აბულაძეს და სარდიონ კაპანაძეს, დანარჩენებს მიუსაჯა კატორგა 5 წლიდან 4 წლამდე. 4 კაცი გაამართლა. სარ. კაპანაძეს რაზმის უფროსმა სიკვდილით დასჯა შეუცვალა 6 წლის კატორღით.

ნიკა.

---

*) 500 მან. მიიღო რედაქციამ.

**) 500 მ. მიიღო რედაქციამ.

## წერ. რედაქციის მიმართ

გორიდან რედაქციამ შემდეგი დეპეშა მიიღო: ვასილ ციციშვილი გორის მაზრის მილიციის უფროსის თანაშემწეთ არ არის და არც რაიმე სამსახურში ითვლება ჩემთან. გთხოვთ უარჰყოთ მოთავსებული ცნობა ამის შესახებ.

მაზრის კომისარი ქარციგაძე *).

## ჩვენი ფოსტა

ს. ბახვეთი (გურია) კალისტრო ის. ქლენტს. „დედაკაცი და სოციალიზმს" ვერ გიგზავნით, რადგან თქვენ წერილის მიღებამდე ყველა გაიყიდა. გვაცნობეთ რა დანიშნულება მივცეთ თქვენს ფულს.

---

*) ციციშვილმა სასამართლოს თავმჯდომარის შეკითხვაზე, თუ სად მსახურებს ახლა—განაცხადა, რომ ამ ჟამად ის დანიშნულია გორის მაზრის მილიციის უფროსის თანაშემწეთ. განი.


## განცხადებანი

ამ სამი ოვის წინათ სახლიდან გაიპარა და უგზო უკვლოდ

**დაიკარგა სულით ავათმყოფი ქალი**

38 წლისა, ტანათ საშუალო, გამხდარი, მარცხენა ხელზე ცერთან აქვს ნიშანი. თმა გადაპარსული. თუ ვინმემ რაიმე იცის მის შესახებ ვსთხოვ შეატყობინოს ქ. სამტრედიაში კოლია გაჩეჩილაძეს, რისთვისაც მიიღებს ჯილდოს—1000 მანეთს. (3302—2—1)

**ორი ძროხა**

ზავოდის ჯიშის იყიდება კიროჩნი ქუჩაზე № 49, ბინა 4. (3303—2—1)

**სამკურნალო**

(კავკ. წით. ჯვ. საოლქო სამმართველო) ჩერქეზ. ქ. № 77, იაკუბოვიჩის აფთ. გვერ. ავადმყოფ. მიღება ექიმ სპეციალისტების მიერ ყოველ დღე 9—2 საათამდე.

გ. ხანაძე 9—12. შინ. ვენერ. სიფილ.
ფ. ფეხნერი 10—11, საბავშ. შინაგ. სნ.
ი. ტეროვაკიმოვი 12—1. ვენერ. სიფილ.
ი. ბოკერია 10—11. ხირურგ. ქალთა სნეულ. და საბებიო.
ი. ტერგრიგორიანცი 1—2. შინაგ. საბავ.
ტ. განჟუმოვი 11—12. ქალთა საბებ.
„606" და „914" ყოველ დღე.
რჩევა 10 მ. ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი გ. გ. ხანაძე. (2937—თ.)

ექიმი ქალი რ. ა. [illegible] მედიცინის დოქტორი ვენის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან ქალის და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბებიო დარიგებას ხელოვნური წამლობა (606—914) დილის 10—12 ს. და საღამოს 5-6 ს. პლეხანოვის პრ. № 119, ტელეფონი № 9—26

ექიმი ნ. ა. [illegible] სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606" და „914". ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. [illegible] მხოლოდ დილით. მისამართი: [illegible] ქუჩა № 33.

ექიმი ნ. ლ. [illegible] იღებს შინაგან, საბებიო და ქალური სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 1—2 და საღ. 4—5, გარდა ოთხშაბათის და შაბათისა, რომელ დღეებშიაც იღებს მხოლოდ დილის 8—9. მისამართი: ნიკოლოზის ქ. № 7, ვორონცოვის ძეგლის ახლოს. (თ.—3023

ექიმი ჩ. ზ. [illegible] იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ დილით 8—9 ს-დის და საღამოთი 4—6 ს-ის. მისამართი: [illegible] № 63 [illegible] 14—60. (თ.—2662)

[illegible] ბერლინის და მოსკოვის უნივერსიტეტების კლინიკებისა

**გ. გ. მეგრაბიანი**

შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა იღებს რენტგენის ელექტრო-წამლობის კაბინეტში. გასინჯვა და წამლობა X ს სხივებით. ჭლექების ოპერაცია—პნევმოტორაქსი. ყოველ დღე დილის 9—12 საათ. და საღ. 5—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92. 3230—თ.

ქალ. სამტრედიაში ექიმი ი. ი. ჭეიშვილი იღებს განსაკუთრებით სიფილისით (წამლ. „606" და „914") ვენერიულ (ტრიპერი და მათი შედეგები) და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ. მისამართი: ილიას ქუჩა, ტელეფონი 35. (2950—თ.)

ექიმი ქალი ე. ს. ბებურიშვილი. ღებულობს ავადმყოფებს შინაგან, ქალთა და ბებიობის ნაწილებში დილით 10—12 საათამდე საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: იზმაილოვის ქუჩა № 28. (თ. 3065).

ექიმი ა. ლევენსონი შინაგანი ავადმყოფობანი. ყოველმხრივი გამოკვლევა და ფიზიკური მეთოდებით აქიმობს გულის, ფილტვების, კუჭის და ჭლექების ავადმყოფობათა. რენტგენის სხივები. კრილოვის ქ. სახლი № 5 გონიელოვისა, ბინა № 3. მიღება დილის 11—12 საათ. და საღამოს 4—8 საათამდე. (თ. 2642)

ექიმი კ. ტუშელაშვილი ღებულობს ავადმყოფებს ვენერიულ, სიფილ. (914 და 606) კანი, მიხაილოვის (№ 55) და ბელგიის (№ 1) ქუჩების კუთხე ფოსტის ახლოს. საღამოს 5—7 საათამდე. (2925)

**ოზურგეთში** ექიმი ს. მ. აბაშიძე მიიღებს ავადმყოფებს შინაგან სენით: ფილტვების, გულის, კუჭის და წელების. ჭლექის ექიმობა „ტუბერკულინით" და „ფოსფაციდით", ვენერიული: სიფილისი და მისი შედეგები—„914" და „606" შეშხაპუნებით, ქ. სიხაიშვილის სახლში. (კუპ. 582)

ექიმი დ. ა. ხარაძე. იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87, [illegible] აუდიტორიის ახლო.

**ვაგზლის კერძო სამკურნალო**

(ვაგზლის ქ. შიხინოვის აფთიაქის გვერდით, ტელ. 6—35)

ექ. არგუთინსკი შინაგ. და საბავ. ყოველ დღე 10—11 ნახ.
ექ. ვართანოვი—ვენერ. და კანის სნ. ყოველდღე 1—2.
ექ. ბოკერია ქირურგ. ქალთა სნეულ. და სააკუშერო ყოველ დღე 10—11.
ექ. ქალი იოხელიანი ქალთა სნეულ. საბავ. ხუთშ. და შაბ. 11—12.
ექ. კლდიაშვილი შინაგ. და საბავ. ყოველ დღე 1—3.
ექ. ტუშურიანცი შინაგანი სნ. ყოველ დღე 11 ნახ—1.
რჩევა 10 მ., კონსულტაცია 50 მან. ოპერაცია შეთანხმებით. „606" და „914". (2930—თ.)

ექიმი ბ. ი. მირიანაშვილი. შინაგანი სნეულებანი. მიღება საღამოს 5—7 საათამდე, მისამართი ანდრეევის ქუჩა № 74, ბინა № 1 ვაგზლის აფთიაქის ახლო. (2849—თ.)

ექიმი ნიკოლოზ [illegible] იღებს განსაკუთრებით შინაგან სნეულებით ავადმყოფს ყოველ დღე საღამოს 4—6 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11 (ზემელის აფთიაქის ახლოს). (2795—თ.)

ექიმი ა. ლ. [illegible] სიფილისი და ვენერიული სნეულებანი, შეშხაპუნება „606" და „914", მიღება დილით 9—11, საღამოთი 4—6 ს. მიხეილის პროს. სასტუმრო „ნოვ"-ს [illegible] № 116. ტელ. 14—28

**სახალხო გვარდიის მთავარ შტაბთან**

არსებული სარეკვიზიციო კომისია

ამით აცხადებს, რომ თხოვნები, რომელიც შეეხება მთავარი შტაბის, რაიონულ შტაბების, ანდა თფილისის ქალაქის მილიციის მიერ მოხდენილ რეკვიზიციებს სახალხო გვარდიისათვის საჭირო საგნებზე, როგორიც არის მაგ. ცხენები, ბინოკლები და სხვ.,—მიიღება მხოლოდ 1920 წლის 1 იანვრამდე.

ისინი, ვინც აღნიშნულ რიცხვამდე თხოვნებს არ წარმოადგენენ, უყურადღებოთ იქნებიან დატოვებულნი.

მთავარ შტაბთან არსებული სარეკვიზიციო კომისია.

(სასახლე, ოთახი № 20)

1919 წ.
5 დეკემბერი, თფილისი. (5—5)

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების

**მთავარ სამმართველო**

ამით აცხადებს, რომ სურამის ფსიქიატრიულ ახალშენში შეიძლება მიღებულ იქნას დაწესებულ ფასით სულით ავათმყოფი (მამაკაცი). დაწვრილებით პირობების გაგება შეიძლება წითელი ჯვრის კანცელარიაში (26 მაისის ქუჩა საბებიო ინსტიტუტის შენობაში) და ქ. სურამში ფსიქიატრიულ ახალშენის უფროს ექიმთან. (2901—14—14)